საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი. 1 იანვარი, 1920 წ.

F 293/2 13000

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 6—62.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 1 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 1

## მსახიობის დღე პარასკევს, 2 იანვარს 1920 წელს მთელს საქართველოში

**დილით:** ქუჩებში ივლის პროცესია, გაჰყიდის საგანგებოდ გამოცემულ გაზეთს „მსახიობის დღე“-ს. **საღამოთი:** ყველა თეატრებში გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა—საღამოები.

წარმოდგენილი იქნება:

### თფილისში

1) სახელმწიფო თეატრში: „ლ ა ლ ა ტ ი ნ“—ალ. სუმბათაშვილისა. მონაწილ. აბაშიძე ვ., აბაშიძე ტ., ანჯაფარიძე ვ., გამყრელიძე ვ., გუნია ვ., ზარდალიშვილი ი., მურუსიძე ა., სარჩიმელიძე გ., ციმაკურიძე ე., ციციშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ე., ჩხეიძე ნ., ქიაურელი მ.
2) ქართულ კლუბში: „ს ა მ ზ ა დ ი ს ი“—უმიკაშვილისა და შარაძე ი. ქავთარაძისა საგანგებოდ ამ დღისათვის დაწერილი. მონაწილ. გოცირიძე ნ., დადიანი შ., კარგარეთელი ალ., ქავიძე ი., სარაული მ., როსტოვცევი, ლამბაშიძე შ., ყიფიანი კ., ჩარკვიანი დ., ციმაკურიძე ე.
3) სახალხო სახლი: ქართული სამუსიკო საზოგადოების საოპერო სტუდია დასდგამს არაყიშვილის ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ორკესტრი და ბალეტი სახელმწიფო თეატრისა.
4) მუშათა ცენტრალურ კლუბში: „გამცემი“ ი. გედევანიშვილისა.
5) ნაძალადევის კლუბში: მოხსენება თეატრზე, პიესები ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს და შარჟი.
6) მუშტაიდის კლუბში: იგივე.
7) ვერის აუდიტორიაში: საღამო წარმოდგენა.
8) საბურთალოს თეატრში: სიძე-სიმამრი.
9) ორთაჭალის კლუბში: პატარა კახი.
10) ერთობის უბანში: დ ა - ძ მ ა.
11) ავჭალის აუდიტორიაში: საღამო-წარმოდგენა მოხსენებით.
12) ავლაბრის თეატრში: წარმოდგენა მოხსენებით.
13) სახელოსნო კლუბში: პიკო და მოხსენება.
14) ნავთლუღის მუშათა კლუბში: წარმოდგენა.

ადგილების ფასი ყველგან მომატებული.

### ქუთაისში

**დღისით:** მოწყობილი იქნება დიდი პროცესია ქუჩებში და საღამოთი, ქალაქის თეატრში გამართული იქნება საზეიმო წარმოდგენა საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

ასეთივე საზეიმო წარმოდგენა-საღამოები გამართული იქნება შემდეგ ადგილებში:

1) ფოთში
2) სოხუმში
3) გორში
4) ხაშურში
5) ჭიათურაში
6) შორაპანში
7) ბორჯომში
8) ზესტაფონში
9) სამტრედიაში
10) ახალ-სენაკში
11) ლანჩხუთში
12) ოზურგეთში
13) სიღნაღში
14) ველის ციხეში
15) თელავში, დუშეთში

„მსახიობის დღე“-ს მომწყობი მთავარი კომიტეტი.

(ნ. 1—1)

დეკანოზი იოსები, ექიმი სოლომონი, მეუღლენი მათი ოლგა და მარიამი წერეთლები, ოლინკა დგებუაძისა, მარიამ აბდუშელიშვილისა, მატრონა აბაშიძისა და კატო და ილია მექანის ძე წერეთლები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ქ. თფილისში გარდაიცვალა უსაყვარლესი მამა და ბიძა მოძღვართ-მოძღვარი

**დეკანოზი—ნიკოლოზ წერეთელი**

მიცვალებულს გაასვენებენ რკინის გზის სადგურზე სამშაბათს, დეკემბრის 30-ს, საღამოს 4 საათზე რკინის გზის [illegible]. დაკრძალვა სოფ. ცხრუკვეთში პარასკევს იანვრის 2-ს წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (3435—3—3)

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე ტერეზა და შვილები მისი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს უსაყვარლესი პირველი ქმრის და მზრუნველი მამის

**ყაისარ მაქსიმესძე თავაძის**

გარდაცვალებას ქ. თფილისში, საიდანაც წასვენებულ იქნა ნატანებში. დასაფლავება დღეს პირველ იანვარს ნატანებში.

საქ. სახ. რკ. გზ. თფილისის რაიონის ფარაჯნი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგთ—ძვირფასი ამხანაგის

**იოანე (ინდიკო) ლადიმერის ძე ესაიაშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება პარასკევს 2 იანვარს დილის 10 საათზე სახლიდან ელისაბედის ქუჩა № 167. დიდუბის ეკლესიაში, დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. ((3457—1—1)

1053

ღრმად დამწუხრებული მარო კონსტანტინეს ასული ანდღულაძისა შვილებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 4 იანვარს ს. ძმითში კვირიკეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლის განსვენებულის

**ივანე ლაზარეს ძის ანდღულაძის**

სულის მოსახსენებლად. ((3464—1—1)

უღრმესის მწუხარებით გულ-მოკლული მშობლები: მაშო და ისიდორე სიხარულიძენი, ძმა ტიტიკო, ბებიები: მატრონე და მართა სიხარულიძისა და ვაჩეიშვილისა, მამიდები: ნინა და ბაბუცა, ბიძები: ვლასა სიხარულიძე, იასონ, ივანე და ნაოსი ვაჩეიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის უძვირფასესის და მარად დაუვიწყარი პატარა

**ქეთინო (ქეთოს) ის.-ასულის სიხარულიძის**

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება პირველ იანვარს (ახალი სტილით) დილის 10 ს. ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან. (3456—1—1)

**სატო**

იტალიური აქციონერული საზოგადოება

**სატო**

ულოცავს თავის კლიენტებს ახალ წელს

ადმინისტრატორ-დელეგატი ბ. ზ. ოგნეზოვი.

მთავარი გამგეობა რომში. გენერალური განყოფილება ქ. ბათუმში, მარინის პრ. № 31.

(3437—1—1)

**თფილისის მილიციის კოოპერატივის წევრთა**

საერთო მორიგ კრებას გამგეობა მეხამეჯერ და უკანასკნელად იწვევს კვირას 4 იანვარს. დილის 11 საათზე

**ესიპოვსკის ცირკის დარბაზში** (ვერის. ბაღ.)

მუდმივობით სთხოვს წევრებს, ყველა მიზეზის გარეშე, გამოცხადდნენ, რადგან საქმე გადადებას არ ითმენს.

გამგეობა (3461—3—1)

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი

**ბარგის გადაზიდვა**

საბარგო ადგილებით (25 ფუთიდან) ოლღას ქ. № 29. ქალაქთა კავშირის მექანიკური სახელოსნოები, ტელეფონი 1—60. (ნ. 6—4)

**საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი**

საქ. რესპ. ქალაქთა კავშირმა მოაწყო ავტომობილთა მიმოსვლა თფილისსა და დუშეთს შორის. თფილისიდან გადის ექვს ადგილიანი სამგზავრო ავტომობილი ყოველ დღე ქალაქთა კავშირის მექანიკურ სახელოსნოებიდან, ოლღას ქ. № 29, დღის 2 ნახ. საათზე, დუშეთიდან გამოდის ყოველ დღე დილის 7 ნახ. საათზე. სამგზავრო ბილეთი თფილისიდან დუშეთამდე და დუშეთიდან თფილისამდე ღირს —250 მანეთი.

დარჩენილ გაუყიდველ ბილეთებიდან გაიყიდება ბილეთები თფილისიდან მცხეთამდე—150 მანეთი, დუშეთიდან მცხეთამდე 200 მანეთი. (ნ. 5—4)

ქ. თფილისი
პლეხანოვის პრ. № 146
გაიხსნა ახლად გაკეთებული სასტუმრო

**„სოლიუზი“**

რომელსაც აქვს საუცხოვოთ მორთული ოთახები, ჰყავს დახელოვნებული და ზრდილობიანი მოსამსახურენი, ფასები ხელმისაწვდომია.

პატივისცემით რ. ნ. კილურაძე. (3448—3—1)

ექიმი ხარდიონ ამბროსის ძე

**ცეხანოვსკი**

საპიორნი ქუჩა საკ. სახლი № 28 ვერანგულოვის ქუჩის კუთხე სახელმწიფო თეატრის უკან.

ჩამოვიდა ქუთაისიდან და ღებულობს სქესის, შარდის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს (606—914)

მიღება: დილის 8—9 ს. მოწაფეებს და ღარიბებს უფასოთ. 10—12 ს. საღამოს 4—5 ს. მარტო ქალებს 5—6 ნახ. ს.

(თ.—3423)

## საახალწლოთ

დღეს ახალი 1920 წელი დადგა. საზოგადოებრივი ცხოვრება, კაცობრიობის ისტორია, ერთი მთლიანი და ცოცხალი პროცესია, ის არავითარ ანგარიშს არ უწევს საკალენდრო თარიღებსა და ჩარჩოებს, ასეთი თარიღებით არ ისაზღვრება სინამდვილეში მისი პერიოდები, მაგრამ მაინც ასეა მიღებული, რომ ყოველ ახალ წელს მიმოიხილოს ისტორიის ის ნაკვეთი, რომელიც წარსულ 365 და ერთი მეოთხედი დღის ფარგლებში მოჰყვა და მას საერთო ჯამი გაუკეთდეს; ეს ისტორიის მეტად პირობითი და ხელოვნური დაყოფაა, მაგრამ ჩვენც, თანახმად საყოველთაო ჩვეულებისა, ვათავსებთ დღევანდელ და შემდეგ ნომრებში მთელ რიგ მიმოხილვებისა საზოგადოებრივ ცხოვრების სხვადასხვა დარგში. ეს მიმოხილვანი კიდევ ერთხელ გადაუშლიან მკითხველს გასული წლის ცხოვრების სურათს, ხალხის ნაგრძნობსა და ნააზრევს, მის განზრახვებსა და ნამოქმედარსა, ბრძოლასა და გამარჯვებას.

რა დიდი ხანა, რა განუსაზღვრელი მნიშვნელობის წელი განვლო ქართველმა ხალხმა! გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ერის რამდენიმე ათასწლოვან ისტორიაში არ მოიპოება მეორე წელი ასეთი მნიშვნელოვანი. სხვა რომ არა მომხდარიყოს რა ამ ხნის განმავლობაში, ეს არის წელი დამფუძნებელი კრებისა, მაშასადამე დასაბამი ჩვენი აღორძინების, მკვდრეთით აღდგენის. დასაწყისი ახალი, ყოვლად განახლებული, ისტორიული პერიოდის. წელი ერის დემოკრატიულად განსახიერების, შინაური აღმშენებლობის, საგარეო გამარჯვების. წელი, რომელიც თავის შინაარსით, ინტენსიური ცხოვრებით და მნიშვნელობით არა ერთსა და ორ ათეულ წელს უდრის...

რა შინაარსის იყო გასული წელი, ეს მკითხველს ახსოვს და ჩვენი მიმოხილვებიც ამასვე მოაგონებენ, ხოლო რაც შეეხება ახლად შობილ წელს, მისი ცხოვრებისა და მოქმედების გეგმა ასეთია. დამფუძნებელი კრების მიერ რესპუბლიკის შენობის დასრულება-დაგვირგვინება. დემოკრატიული, ხალხური წყობილებისა და თავისუფლების სრული გატარება და განმტკიცება, რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ფორმალური ცნობა გარეშე ძალთაგან და საერთაშორისო ოჯახში სრულუფლებიან წევრათ შესვლა. რესპუბლიკის საზღვრების სასწრაფო გამორკვევა და მისი ტერიტორიალურ სახის ჩამოყალიბება, კერძოთ ბათომის მუწუკის სწრაფი გაკვეთა და მით სახელმწიფო სხეულის გაჯანმრთელება. საერთაშორისო ქარიშხალი ჯერ კიდევ არ ჩამდგარა. ომისა და სისხლის ვეშაპი, რომელმაც ხუთი წლის წინეთ აიწყვიტა, ჯერ კიდევ არ არის დაბმული. ყოველმხრიდან ყოველგვარი საშიშროება მოსალოდნელი და ჩვენი დემოკრატია, რომლის არსება საერთაშორისო ძმობისა და მშვიდობიანობის სულითაა გაჟღენთილი, ჯერ კიდევ ხმალს ვერ ჩააგებს ქარქაშში და მომხვდურს დახვდება. ხოლო ამავე დროს ის დაუღალავად იღწვის და განაგრძობს მოღვაწეობას, რათა უმჭიდროესი კავშირი დაარსოს და განამტკიცოს ჯერ თავის უახლოეს მეზობლებთან და შემდეგ კიდევ უფრო შორეულებთან.

უდიდესი მნიშვნელობის და განსაკუთრებითი ყურადღების ღირსია რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობის საკითხი. სურსათის საქმე, მრეწველობის გაძლიერება, ნაციონალური შრომის ნაყოფიერების გაზრდა-განვითარება, სასოფლო მეურნეობისადმი მეტი ყურადღების მიქცევა, საკუთარი ფულის სისტემის შექმნა—ასეთია ამ დარგში ჩვენი მოღვაწეობის მორიგი კითხვები...

ძნელია იმის თქმა, თუ როგორ გამოიხსნება ან გადიჭრება ის რთული მსოფლიო კვანძი კაცობრიობის ისტორიისა, რომელიც საერთაშორისო ომმა შექმნა და დახლართა. ქართველი მშრომელი ხალხი და მისი ბელადი მუშათა კლასი ქმნის და აშენებს დემოკრატიას, ამტკიცებს მოპოებულ პოზიციას, ის წინ, უფრო შორს, საბოლოო მიზნისკენ იყურება და უცდის მსოფლიო მუშათა კლასს. თუ ვინიცობაა მან გაილაშქრა წინ, საქართველოც თავის პოზიციიდან მოხსნის თავის წითელ ბატალიონებს და წინა რაზმებში ჩადგება. თუ ისტორიამ ამ ხანად მუშათა კლასს არ გაუღიმა, საქართველოს დემოკრატია მტკიცეთ იქნება თავის პოზიციაზე, რათა ზურგიდან შემომტევ და მარჯვნიდან დამცემს მტერს მრისხანე პასუხი გასცეს. საქართველოს დემოკრატიის მიერ არჩეული გზა ორივე შემთხვევისათვის ერთად ერთი სწორი გზაა, რა ვერავითარი წუთიერი გაჭირვება და ბედის ცდა მას ვერ გადაახვევინებს ამ გზას!.

დამდგარი წელი ისეთივე მნიშვნელოვანი უნდა იქნეს და იქნება კიდეც, როგორც გასული.

რაც მეცხრამეტემ დაიწყო, მეოცემ უნდა დაამთავროს.

## საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველოს რესპუბლიკა

გერმანიის დამარცხების შემდეგ ჩვენს რესპუბლიკას ესტუმრენ მოკავშირეთა წარმომადგენელნი. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მათი სიმპატია სავსებით დიდი რუსეთისკენ იყო, ხოლო დიდი რუსეთის მესვეურათ და აღმშენებლათ მათ წარმოდგენილი ჰყავდათ დენიკინ-კოლჩაკი. თუ ანგარიშს უწევდენ პატარა რესპუბლიკებს, ეს მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებით არც დენიკინს და არც მის მომხრე ევროპიელებს არ სუროდათ მოსკოვის აღებამდის გაეჩინათ ახალი ფრონტი კავკასიაში. მართალია, დენიკინის მხრივ იყო ერთი ცდა ამიერ-კავკასიის ძალებით თავისი გავლენა გაეძლიერებია. ეს იყო სომხეთის მთავრობის მიერ ომის გამოცხადება საქართველოს წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენმა დემოკრატიამ ეს რუსეთის რეაქციონერების და მათი მეგობრების გეგმა ჩაშალა და ამით ახალი მიმართულება მიეცა ჩვენს საგარეო მდგომარეობას. დღეს ჩვენ ვიცით, რომ სომხეთთან ომში გამარჯვება, ეს იყო დენიკინის პოლიტიკის დამარცხება ამიერ-კავკასიაში და მთელი ქვეყნის წინაშე აშკარა და ნათელი საბუთი იმის, რომ საქართველოს რესპუბლიკა სასიცოცხლო უნარით დაჯილდოვებულია.

მეორე მხრივ საქართველოს რესპუბლიკამ იცოდა, რომ მარტო თავის ძალღონით ის იოლათ ვერ შესძლებდა ჩრდილოეთის რეაქციის მოგერიებას. უკანასკნელთა ინტრიგის წინააღმდეგ მან წამოაყენა ამიერ-კავკასიის ერთა შორის სოლიდარობის პრინციპის გატარება და საერთო ძალით მათი დამოუკიდებლობის განმტკიცება. ამის შედეგი იყო აზერბეიჯანთან თავდაცვითი ხელშეკრულობის დადება და სომხეთთან ზოგიერთ სადაო კითხვის შეთანხმებით გატარების აუცილებლობის აღიარება. ვინც ნატრობდა ამიერ-კავკასიაში არეულობის შექნას და ამით თავის საქმის გაკეთებას, მოტყუებული დარჩა ანგარიშში. ერთი მეცნიერის სიტყვით საგარეო პოლიტიკა შინაური პოლიტიკის გაგრძელებაა. თუ მთავრობა შინაურ საქმეებში ნამდვილად იცავს დემოკრატიულ პრინციპებს, ის ბუნებრივად საგარეო პოლიტიკაშიაც იმავე გზას დაადგება. საქართველოს რესპუბლიკაც ასე იქცევა და ამაშია მისი სიძლიერე.

შინაური ინტრიგის დამარცხების შემდეგ ჩრდილოეთის რეაქციამ სცადა პირდაპირ დასცემოდა რესპუბლიკას და ის დაემხო. მიუხედავად ჩვენი მშვიდობიანობის მოყვარულობისა და სურვილისა, რომ კითხვები მშვიდობიანი გზით გადაწყვეტილიყო, დენიკინის რაზმებმა მოინდომეს სოხუმის ოლქის ხელში ჩაგდება. მას ეს ისეთი იოლი საქმე ეგონა, როგორც ყირიმის უდღეური მთავრობის ჩამოგდება და მახნოსთან [illegible]. ჩვენმა შეიარაღებულმა დემოკრატიამ დაუმტკიცა დენიკინს, რომ შეუძლებელია ჩვენი რესპუბლიკის ასე ადვილად დამხობა.

წარსული წლის დასაწყისში მოკავშირეები დენიკინ-კოლჩაკს ამაგრებდენ და მათი შეწევნით უნდოდათ რუსეთის საქმეების მოწყობა და ჩვენი ბედის გადაწყვეტაც. წლის ბოლოში დარწმუნდენ, რომ ახალი ღვინო ძველ ჰურჭელში ვერ იხეირებს. ასეთი დასკვნა მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ჩვენი რესპუბლიკის განმტკიცებისთვის. ხოლო შინაური გამაგრება—საფუძველია ამ განმტკიცებისა, რადგანაც საგარეო პოლიტიკა ყველგან და ყოველთვის შინაური პოლიტიკის გაგრძელებაა.

ბ. თექლათელი

## აგრარული რეფორმა 1919 წელს.

ეს მეორე წელიწადია, რაც სამინისტრო აგრარულ რეფორმას ატარებს.

1918 წლის გაზაფხულიდან შეუდგა ის ამიერკავკასიის სეიმის 7 მარტის კანონის განხორციელებას, ე. ი. ნორმაზე ზედმეტი მიწის ჩამორთმევას. პირველად მამულები სხვილ მიწათმფლობელებს ჩამოერთვათ. გასულ წელს კი უწყებას 7 მარტის კანონი სავსებით და ყველგან უნდა გაეტარებია; უნდა ჩამოერთმიათ მიწები ისეთ მემამულეთაც, რომლებსაც ნორმაზე ზევით მხოლოდ რამოდენიმე დესეტინა რჩებოდა. ამიტომ მიმღები კომისიების მუშაობის შედეგი, სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის გადიდების მხრივ, ისეთი დიდი არ იყო, როგორც რეფორმის პირველ წელს. წვრილი მამულების ჩამორთმევა გაცილებით უფრო მეტ დროსა და მუშაობას მოითხოვს, ვინემ სხვილისა. მუშაობა ძნელდება კიდევ იმით, რომ ბევრი რაიონი ჩვენში გაუმიჯნავია და მაშასადამე არ არის გამორკვეული ვის რამდენი მიწა აქვს. ასეთ ადგილებში მიმღებ კომისიებს დიდი დრო ეკარგებოდათ წინასწარ იმის გამორკვევაზე, თუ ვის ქონდა ჩამოსართმევი ადგილი და ვის რა.

მიუხედავათ ამისა წელს მიღებულია ფონდში ქუთაისის გუბერნიაში:

| მაზრები: | დეს. |
|---|---|
| ოზურგეთის | 21.231 |
| შორაპნის | 2.702 |
| ქუთაისის | 783 |
| სენაკის | 1.391 |
| ლეჩხუმის | 30.000 |
| სულ | 56.107 |

ივერიელი

# დღეს

გერმანული პრესის აზრით გერმანიას ავსტრიის ბედი მოელის, თუ შესაფერი ზომები არ იქნა მიღებული შიმშილობის წინააღმდეგ. შიმშილობის დროს სპარტაკელები კვლავ წამოყოფენ თავს და მაშინ კატასტროფა მოხდება.

მოსკოვის „იზვესტიას“ ცნობით აღმოუჩენიათ მემარჯვენე ესერების შეთქმულება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ბოლშევიკების ცნობით, შეთქმულებას კავშირი ჰქონია უაჩალ-ბანდიტთა ჯგუფებთან, რომლებიც ხელს უწყობდენ კონტრ-რევოლიუციონერებს, წითელი არმიის ზურგში აფეთქებდენ რკ. გზებს და სხვ.

მოხალისეთა ჯარის ცნობით შეთანხმება მომხდარა პოლონელებსა და მოხალისეებს შორის. დასავლეთის ფრონტზე პოლონეთის ჯარები ახლო ხანში მოქმედებას დაიწყებენ.

ბოლშევიკების ცნობით ტერიტორიის საკითხში ლიტვასა და ლატვიას შორის უთანხმოებამ იჩინა თავი.

ტოკიოში სათბობი მასალის დიდი კრიზისია. შემცირდა სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლა, მოსალოდნელია ქარხნების შეჩერებაც.

---

თფილისის გუბერნიაში:

| მაზრები: | დეს. |
|---|---|
| სიღნაღის | 4 149 |
| ახალციხის | 81.409 |
| თელავის | 74 |
| თფილისის | 2.166 |
| სულ | 87.798 |

ამაში არ შედის სოხუმის ოლქის და ზოგიერთი სხვა მაზრების ცნობები, სადაც მუშაობა სწარმოებდა მთელი ზაფხულის განმავლობაში.

ჩამორთმევა დასრულდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ წვრილ მამულებს, შემდეგ მაზრებში: თელავის, თიანეთის, თფილისის, ბორჩალოს, ახალციხის, შორაპნის, ქუთაისის, რაჭის, ოზურგეთის, სენაკისა და ლეჩხუმის—სვანეთის გამოკლებით. არ დამთავრებულა მიწების კონფისკაცია გორის, დუშეთის, სიღნაღის, ზუგდიდის, ახალქალაქის მაზრებში და აფხაზეთში.

მარა როგორც ვიცით, მიწების ჩამორთმევა მხოლოდ რეფორმის ერთი მხარეა. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონით მიწათმოქმედების სამინისტროს დაევალა აგრეთვე სახელმწიფო საადგილ მამულო ფონდიდან სახნავ-სათესი მიწების გადაცემა უმიწაწყლო და მცირე მამულიან გლეხებისათვის კერძო საკუთრებათ შეღავათიან ფასებში. ეს კი დიდი და რთული საქმე იყო. უწყებამაც ამას მიაქცია სწორეთ მთავარი ყურადღება. ან კანონის ცხოვრებაში გასატარებლად საჭირო შეიქნა მაზრების ცალკე რაიონებათ დაყოფა. ამ დაყოფას სარჩულათ დაედვა მიწის ფაქტიური სარგებლობა. თფილისის გუბერნია დანაწილდა 54, ხოლო ქუთაისის—58 რაიონათ. თვითეულ რაიონს ყავს მცხოვრებთა მიერ არჩეული კომისია, რომელსაც სამინისტრო აძლევს ერთ მდივანს და ერთს მიწის მზომელს. კომისიის მოვალეობაა ცნობაში მოიყვანოს ფონდის რაოდენობა, გამოარკვიოს რამდენი უმიწაწყლო და მცირე მამულიანი სოფლის მცხოვრებია რაიონში და გაანაწილოს საფონდო მიწები უკანასკნელთა შორის. ამისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ჩამორთმევის დასრულება რაიონის ფარგლებში, რომ შემდეგ ცოტაც თუ ბევრათ სისწორით იქნას მიწა განაწილებული. გაუმიჯნავ კუთხეებში კომისიებს უხდებათ არა მარტო იმის გამორკვევა, თუ ვის და რამდენი აქვს ჩამოსართმევი, მათ ფაქტიურათ ადგილობრივ უნდა გამოიკვლიონ აგრეთვე თითოეული გლეხის მიწათმფლობელობა, რომ სისწორით და კანონის თანახმათ გაანაწილონ საფონდო მიწები. ეს კი მეტის-მეტად რთული, ძნელი და პასუხსაგები საქმეა ჩვენს პირობებში. საქმე იმაშია, რომ საფონდო მიწის რაოდენობა მეტად მცირეა, ხოლო მოთხოვნილება დიდი. ვეჭვობთ სადმე იყოს მეორე ქვეყანა, სადაც მიწის ასეთი სივიწროვეა, როგორც საქართველოში. მთელ რესპუბლიკაში საერთოდ გლეხის ოჯახზე მოდის 2,65 დეს. საკუთარი მიწა, ხოლო 0,52 საიჯარო. სულზე 0,45 დეს. საკუთარი, ხოლო 0,08 დეს. საიჯარო. ეს საშუალო ციფრებია. თუ ცალკე რაიონებს ავიღებთ, სურათი კიდევ უფრო უნუგეშო იქნება. ასე მაგალითად, ლეჩხუმის მაზრაში სულზე მოდის 0,30 დეს. ხოლო გორისა და თიანეთისაში—0,29 დეს. თუ მაზრასაც დავანაწილებთ, დავინახავთ, რომ მაზრის ზოგიერთ კუთხეებში სულზე ნახევარი ქცევა მიწაც არ მოდის და ბევრ ადგილას უმიწაწყლონიც საკმაოთ დიდ პროცენტს შეადგენენ. მიწების გადაცემის მთელი პროცედურა გამარტივდება, რომ საადგილ-მამულო ფონდი საკმაო იყოს და მიწის მეტის-მეტი სივიწროვე არ ქმნიდეს სოფლათ ისეთ მდგომარეობას, სადაც ერთ მტკაველ მიწაზე ათს კაცს უჭირავს თვალი. ამ პირობებში მიწის განაწილება ძლიერ რთულ და სათუთ საქმეთ ხდება. ამიტომაც იყო, რომ კანონმდებელმა მიწების განაწილება სოფლელთა შორის მიანდო უკანასკნელთა მიერ არჩეულ კომისიებს, რათა ეს რთული და სადავიდარაბო საქმე თითონ ადგილობრივი პირობებისა და საადგილ-მამულო ურთიერთობის მცოდნე პირებმა შეასრულონ.

ნახევარ წელიწადზე მეტია კომისიები მოქმედებენ და ბევრ ადგილას წინასწარი მუშაობა თითქმის დასრულებულია: გამორკვეულია საადგილ-მამულო ფონდი და შედგენილია უმიწაწყლოთა და მცირე მამულიანების სია. ზოგიერთ რაიონებსა და სოფლებში უკვე ფაქტიურათ შეუდგენ მიწების გადაცემას და ხაზინაში ფულების შეტანას.

ასე მაგალითად თფილისის მაზრაში დამზადებულია გადასაცემათ:

| რაიონი | დესეტ. მიწა. | შემოსატანია ხაზინაში. |
|---|---|---|
| დიღომის | 4482 | 2.840.793 მან. |
| თელეთის | 6969 | 5.000.000 „ |
| საგარეჯოს | 1206 | 1.188.220 „ |
| სართიჭალის | 3103 | 2.832.640 „ |
| მანგლისის | 3154 | 1.221 000 „ |
| ავჭალის | 3556 | 3.486 400 „ |
| მთლად | 22 470 | 16.569.053 „ |

ქუთაისის მაზრაში:

| რაიონები | მიცემა მიწა | შემოსავ. ხაზინაში |
|---|---|---|
| კოპიტნარის | 4712 | 3,968,000 მ. |
| ჯიხაიშის | 1450 | 1,260,000 „ |
| წყალტუბოს | 2948 | 1.389,600 „ |
| ქუთაისის | 4129 | 2,966,100 „ |
| სვირის | 2234 | 1,780,400 „ |
| სულ | 15,473 | 11,374,100 „ |

მალე მთელ რიგ სხვა რაიონებშიაც სიების შედგენა დასრულდება და მიწების გადაცემა დაიწყება. მრავალი ათასი უმიწაწყლო და მცირე მამულიანი სოფლელი მიიღებს სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან მიწას, შეიძლება არა საკმაოთ, მარა იმდენს მაინც, რომ თავი ირჩინოს, თუ რასაკვირველია, კულტურულ მეურნეობას მოკიდებს ხელს. საქართველო კი არის უმაღლესი კულტურის ქვეყანა, სადაც ძვირფასი მცენარეების მოშენებას დიდი მომავალი აქვს. რეფორმის თავი და თავი მნიშვნელობა სწორედ იმაშია, რომ იგი ანთავისუფლებს ჩვენი სოფლის მეურნეს, გლეხს, ბატონყმური ნაშთების სიმძიმისაგან და აძლევს საშუალებას თავისი შრომის ნაყოფი გამოიყენოს მეურნეობის გასაუმჯობესებლათ. სასურსათო კრიზისი და საერთოდ პურის ნაკლებობა დღის-დღეობით აიძულებს გლეხს ვენახის, ხეხილის, ჩაისა და მანდარინის მოშენების მაგიერ პური და სიმინდი თესოს, მარა გაივლის დრო, აღდგება ნორმალური ურთიერთობა სახელმწიფოთა შორის და ჩვენი ხალხიც დაეწაფება სასოფლო მეურნეობის იმ დარგებს, რომლის განვითარებას ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ჰავა და ნიადაგი და რომელიც გაცილებით მეტ სარგებელს აძლევს მეურნეს, ვინემ პურეული მცენარეების მოშენება. ამიტომ მართალი არ არიან ისინი, ვინც ჩვენს აგრარულ რეფორმას გმობენ კულტურული მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით. მემამულე საქართველოში, თითოოროლა გამონაკლისის გარდა, არ ეწეოდა საკუთარ მეურნეობას. მისი დანიშნულება იმაში მდგომარეობდა, რომ გლეხის ნაშრომის დიდი ნაწილი ღალისა და სხვადასხვა ბეგარის სახით მიეთვისებია და გაეფლანგა. მემამულეთა მიწები მუშავდებოდა გლეხის ხელით, რომელსაც არც საშუალება ჰქონდა და არც ხალისი სხვის მიწაზე კულტურული მეურნეობა გაეჩაღებია. ამიტომ მემამულეთა მიწათმფლობელობა ჩვენში უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენდა სასოფლო მეურნეობაში საწარმოო ძალების ზრდა-განვითარებისათვის. რეფორმამ მოსპო ეს დაბრკოლებანი და მაშასადამე საწარმოო ძალების განვითარებას სოფელში გზა გაუკაფა. რევოლიუციამ გაანთავისუფლა გლეხი ფეოდალური წყობილების მიერ გადმოცემულ ძველ ურთიერთობისაგან, გახადა ის თავისი ნაშრომის პატრონი და გადასცა მას მიწა, რომელიც დღემდი მემამულის ხელში მისი დაჩაგვრისა და ექსპლოატაციის იარაღი იყო. ამიერიდან ეს მიწა, პირიქით, ხდება მისი ნივთიერათ მოღონიერების და გაძლიერების საშუალებათ. ამას გრძნობს გლეხი და ამიტომ არის იგი ერთგული დარაჯი რესპუბლიკისა და თავისუფლების. მართალია, ჯერ კიდევ მის ხელში არ გადასულა ფორმალურათ მემამულეთა მიწები, მარა ფაქტიურათ ამ მიწებით ის სარგებლობს. ეს ფაქტი ამაგრებს პოლიტიკურათ რესპუბლიკას და ეკონომიურათაც შესაძლებლათ ხდის მის არსებობას.

დღევანდელ არევ დარევის ხანაში უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა იმ გარემოებას, რომ გლეხი დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი მიწა დაამუშაოს. ეს ასუსტებს სასურსათო კრიზისს და საშუალებას აძლევს სახელმწიფოს იარსებოს საკუთარი სასურსათო რესურსებით. თამამათ შეიძლება ითქვას, ჩვენი ქვეყანა წელსაც საკუთარი პურით დაირჩენდა თავს ისე, როგორც შარშან დაირჩინა, რომ მეტის მეტი ცუდი ამინდები არ ყოფილიყო. მართლაც, ნათესი მინდვრების რაოდენობა ეს ორი წელიწადია პროგრესიულათ მატულობს. 1918 წ. შედარებით გასულ წელს თფილისის გუბერნიის 6 მაზრაში დათესილი ადგილების სივრცე გაიზარდა 27 პროც., ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 19,4 პროც.. ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდებოდა საქართველოში, რომ მიწა მემამულეების ხელში დარჩენილიყო და მათ საშუალება ქონოდათ ძველებურათ სანახევროთ და სამესამედოთ სადალოთ მიეცათ ის. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, გლეხობა ამ შემთხვევაში არ მოკიდებდა ხელს შედარებით მწირი ადგილების დამუშავებას და საზოგადოთ მას არ ექნებოდა ის ძლიერი მისწრაფება რაც შეიძლება მეტი მიწების დამუშავებისა, რომელიც ასე ახასიათებს მას დღეს.

ყველაზე უფრო დიდი საადგილ-მამულო ფონდი დგება სწორეთ იმ მაზრებში, სადაც გლეხობა ყველაზე მეტათ დაბეჩავებული იყო. ასეთია გორის, ბორჩალოსა და სხვ. მაზრები. ამ ადგილებში თამამათ შეიძლება უმიწაწყლო და მცირე მამულიანი გლეხების დაკმაყოფილება სახელმწიფო ფონდიდან. მარა არის კუთხეები და მაზრები, სადაც ძლიერ ცოტა მიწა იქნება განაწილებული, ხოლო მეორე მხრით არის რაიონები, სადაც ცოტაოდენი თავისუფალი მიწები მოიპოვება. ამიტომ მიწათმოქმედების სამინისტრო აწყობს ასეთ ადგილებში ღარიბი უმიწა-წყლო გლეხების სხვა რაიონებიდან გადმოსახლებას. 1918 წლის განმავლობაში მან დაასახლა.

ლაგოდეხის რაიონში 5 სოფელი—923 კომლი, რომელთაც მიეცათ 5260 დეს. მიწა.

ყარაიაზში 2 სოფელი—244 კომლი, მიეცათ 1500 დეს. თფილისის მაზრაში, ს. მარაბდაში 1 სოფელი—10 კომლი—120 დეს.

გასული წლის განმავლობაში ცენტრალურ რაიონში (თფილისისა და თელავის მაზრაში) დასახლებულია 9 სოფელი, 411 კომლი, რომელთაც 1768 დეს. მიწა მიეზომათ. ლაგოდეხის რაიონში 1 სოფელი 250 კომლისაგან, მიეცათ 1000 დეს. მიწა. ყარაიაზში მიეცათ დასახლების ნება 174 კომლს; მათთვის გადადებულია 1044 დეს. მიწა. სამინისტრო ფიქრობს ფართეთ მოაწყოს გადასახლების საქმე ახალ-ქალაქის რაიონში, სადაც გასული წლის შემოდგომაზე გაიგზავნა მიწის მზომელების პარტია გადასახლების ფონდის გამოსარკვევათ. ჯერ-ჯერობით ფონდში მიღებულია 6 ათას დესეტინამდი. ამ მაზრაში უწყებას ექნება 15—20 ათასი დესეტინა გადასახლებისთვის. ასეთი მიწები მოიპოვება აგრეთვე ბორჩალოს მაზრაში. გადასახლება სწარმოებდა უმთავრესათ იმერეთიდან და აგრეთვე რაჭა ლეჩხუმიდან, სადაც მიწის დიდი სივიწროვეა.

ამ ადგილებში უმიწაწყლოთა რიცხვის შესამცირებლათ და მათთვის ახალი ადგილების გამოსანახათ მიწათ-მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს ახლო მომავალში შეუდგეს ზოგიერთი ჭაობიან ადგილების დაშრობას და ყარაიაზის ახალი ადგილებში სარწყავი სისტემის მოწყობას.

ასეთია მოკლეთ ის მუშაობა, რომელიც დღეს ჩვენში სწარმოებს აგრარული რეფორმის გასატარებლათ.

# საქართველოს ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა 1919 წ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბიუჯეტო წელიწადი იწყება 1 ივნისს. საბიუჯეტო წელიწადი თავდება 31 მაისს. ვინაიდან საბიუჯეტო წელიწადი და სამოქალაქო წლის თავი ერთი და იგივე არ არის, ძნელია მთელი წლის მიმოხილვა სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, შესაძლებელია მიმოხილვა საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობისა გასული სამოქალაქო წლისა. გასულ სამოქალაქო წელს ფინანსების და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ შეადგინა პირველი ბიუჯეტი. ამ ბიუჯეტის მიხედვით მთელი ჯამი სახელმწიფოს შემოსავლისა და გასავლისა აღრიცხული იყო 797,401.187 მან., ამ შემოსავლიდან სახელმწიფო ქონების და თანხების ნავარაუდევია 574.208.420 მან., ან 72 პროც. მთელი შემოსავლის, არა პირდაპირი, პირდაპირი გადასახადები, მასში იყო ნავარაუდევი 163.508.700 მან. რაც შეადგენს 20,5 პროც. მთელი შემოსავლისას ნავარაუდევი ბიუჯეტით ხარჯთ აღრიცხვა მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეიცვალა; ხარჯთაღრიცხვის შეცვლა გამოწვეული შეიქნა საერთოდ ცხოვრების გაძვირებით, და ახალი ხარჯებით, რომელიც გამოწვეული შეიქნა სახელმწიფოს აღმშენებლობითი მუშაობით. ეჭველი არის, რომ ბიუჯეტით ნავარაუდევი ხარჯები გაიზრდება, რამდენათ გაიზრდება ჯერ-ჯერობით ძნელა გამოსაანგარიშებელი არის, მაგრამ გაზრდა აუცილებელია. ეხლა ძნელია გამოანგარიშება რა დამოკიდებულება იქნება შემოსავალსა და გასავალში. შესაძლებელი იქნება სახელმწიფოს გასავლის დაფარვა სავსებით შემოსავლით. მხოლოდ უნდა იქნეს აღნიშნული ის გარემოება, რომ საერთოდ შემოსავლის ზრდა უეჭველია არის ნავარაუდევი შემოსავალი და ნამდვილი შემოსავალი გაცილებით ბევრია. მართალია ისიც, რომ მთავრობის მიერ შემოღებულ გადასახადებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს რესპუბლიკაში. არა ერთხელ გამოთქმულა აზრი, რომ მთავრობის და კანონმდებელი დაწესებულების მიერ დაწესებული გადასახადები აუტანელი იქნებაო, მაგრამ ჭეშმარიტება გვაუწყებს, რომ გადასახადების რაოდენობა მისაღები ყოფილა ხალხის ბიუჯეტისათვის და მისი გადახდა შესაძლებელიც ყოფილა. გადასახადები შემოდის და ხარჯთ-აღრიცხვას გაცილებით გადააჭარბა, პირველი ივნისიდან მიმდინარე 1919 წლ. დეკემბრის 15-მდე შემოვიდა სხვადასხვა გადასახადები 227 922 939 მან. ნავარაუდევი იყო 163.508.700 მ.; ნავარაუდევ შემოსავალს შემოსავალმა გადააჭარბა 64.414.234 მან. რესპუბლიკის სატახტო ქალაქში სამრეწ. გადასახადი 1919 წ. შემოვიდა 8.848 521 მანეთი. 1918 წ. 275.763 მან.; მთელი 1918 წ. ქალაქის გადასახადები შეადგენდა 1.080 582 მან.; 1919 წ. 1 ქრისტეშობისთვემდე 13.623.807 მან. 1919 წ. გადასახადები გაცილებით უფრო კარგად შემოდის ვიდრე 1918 წ. ხარჯთ ამკრეფი ადმინისტრაცია მიმდინარე წლის განმავლობაში მოეწყო. ხალხის განწყობილება შეიცვალა. თუ 1918 წ. ხალხი არ იხდიდა არავითარ გადასახადებს, ყოველ გვარ წინააღმდეგობას ეწეოდა, რომ გადასახადები არ შესულიყო ხაზინაში, 1919 წ. ეს მდგომარეობა ძირიანათ შეიცვალა; ხალხის სულის განწყობილება შეიცვალა, ხალხმა შეიგნო, რომ სახელმწიფოს აშენება და მისი გაძლიერება შეუძლებელი არის, თუ თითონ ის არ მიიღებს მონაწილეობას სახელმწიფოს ცხოვრებაში და დაეხმარება მას. ხალხის შეგნება არის მაჩვენებელი იმისა, რომ ხალხის სულის განწყობილება შეიცვალა და ხალხი სახელმწიფოებრივ აზროვნობს.

გადასახადების შემოსავლის გაძლიერება აგრეთვე მაჩვენებელი არის, რომ თვით სახელმწიფო ორგანოები ჩამოყალიბდა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობა კალაპოტში დგება და გარკვეულ ხასიათს იღებს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური ნიადაგის გაძლიერება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოს ფარგლებში შეიქნება მრეწველობა, წარმოება. ჯერ-ჯერობით მრეწველობა საქართველოში არ არის. ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ ამ შემთხვევაში სრულიად ხელ-უხლებელი ძალები. მრეწველობის განვითარება არის მომავალის საქმე. დღეს დღეობით შესაძლებელი არის მხოლოდ სათანადო თადარიგი. ვინაიდან სახელმწიფოს თავისი მრეწველობა არ აქვს, იგი იძულებული არის მიმართოს სხვა სახელმწიფოებს. 1919 წლ. ზაფხულამდე საქართველოს ბლუყა ქონდა შემორტყმული. ეს ბლუყა ზაფხულში მოიხსნა, გზები გაიხსნა და საქართველოში შემოვიდა უცხოეთიდან საქონელი და საქართველოდან იზიდება ის ნედლი მასალა, რომელიც საქართველოს აქვს.

შემოსული უცხოეთიდან საქონლის რაოდენობა თანდათან იზრდებოდა და იზრდება. იანვარში საქართველოში შემოვიდა 23 მილიონი მანეთის ღირებულის საქონელი, სექტემბერში 91 მილიონი მანეთის, სულ იანვრიდან სექტემბრამდე 530 მილიონი მანეთის. საქართველოდან გატანილი იყო იანვარში 9 მილიონი მანეთის, სექტემბერში 36 მილიონი მანეთის, სულ იანვრიდან სექტემბრამდე გატანილი იყო 211 მილიონი მანეთის ღირებულების საქონელი. შემოტანილი საქონლის ღირებულება სჭარბობს გატანილს 319 მილ. მან. ჩვენი სავაჭრო ბალანსი პასიურია. ამის მიზეზები მრავალ სახისა არის. პასიური სავაჭრო ბალანსი საერთაშორისო მოვლენაა და არის გამოწვეული იმ ეკონომიური წესწყობილებით, რომელიც შედეგია 4 წლის ომიანობის. პასიური სავაჭრო ბალანსი მძიმე ტვირთია სახელმწიფოსათვის, მაგრამ დღევანდელ პირობებში ეს აუცილებელი მოვლენაა და რასაკვირველია აქეთკენ არის მიქცეული უწყების ყურადღება.

საქართველოს ევროპაში შეუძლია გაიტანოს მხოლოდ ნედლი მასალა და სამაგიეროთ ამ ნედლ მასალისა შესაძლებელია მრეწველობის ნაწარმოების შემოზიდვა. უწყებამ მიაქცია ამას უმთავრესი ყურადღება. მსურველი ნედლი მასალის გაზიდვისა ძლიერ ბევრი აღმოჩნდა, ვინაიდან დღევანდელ პირობებში, ვიდრე საქართველო ცნობილი არ არის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ერთად-ერთი საშუალება იყო ნედლი მასალის ვალიუტათ გამოყენება, ამ გზას დაადგა უწყება და გამოაცხადა სახელმწიფო მონოპოლიები მარგანეცზე, მატყლზე, თამბაქოზე, აბრეშუმის პარკზე.

სახელმწიფო ჩაუდგა სათავეში ამ ნედლის მასალის გაზიდვას და გასაღებას ევროპის ბაზარზედ. სახელმწიფოს უფლება აქვს ან თითონ თავისი საშუალებით გაზიდოს და გაასაღოს ეს საქონელი, ან და განსაზღვრულ პირობებში გადასცემს თავის უფლებებს საზოგადოებრივ დაწესებულებას ან კერძო პირს. დედა აზრი მონოპოლიებისა არის ქართული ფულის კურსის გამაგრება შიგნით, სახელმწიფოში, და რეალური ვალიუტის შექმნა. განაღდებული საქონლის ღირებულების შემოტანა, ისეთი საქონლის, ანუ სურსათის და სანოვაგეს, რომელსაც საჭიროებას განიცდის სახელმწიფო. მონოპოლიების განხორციელებით შესაძლებელიც იქნება პასიური ბალანსის გარდაქმნა. გასულ წელს მიღებული იქნა დამფუძნებელი კრების მიერ წესდება სახელმწიფო ბანკის და მომავალ 1920 წ. ბანკი დაიწყებს მუშაობას. სახელმწიფო ბანკის დაარსება გაადვილებს ფულის ტრიალს, მისცემს მას შესაფერ მიმართულებას, იგივე ბანკი მიიღებს თავის თავზედ მრეწველობის ხელმძღვანელობას, რამდენადაც ეს გამოიხატება კრედიტების მიცემის და სახელმწიფო თანხით დახმარებით და მოაწესრიგებს კრედიტის საქმეს სახელმწიფოში.

გასულ წელში დიდი აღმშენებლობითი მუშაობა სწარმოებდა, ჯერ ჯერობით, რასაკვირველია, არ ჩანს ნაყოფი ამ მუშაობისა. ეს თავისთავად ცხადია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ საშინელ პირობებს, რომელიც შექმნა მსოფლიოს ეკონომიურ ცხოვრებაში ოთხი წლის ომიანობამ. შეიქნა ისეთი პირობები, რომლის გადალახვა შეუძლებელი იქნა, რადგან მიზეზი ამ პირობების ჩვენს გარეშე არის. ეკონომიური საძირკველი დამოუკიდებელ საქართველოს კი ჩაეყარა.

Sigma.

# ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა 1919 წ.

ძვირად, მეტად ძვირად შეხვდება წილად ერთ თაობას ისეთი ბედნიერება, როგორიც ჩვენ გვარგუნა ცხოვრების ტრიალმა.

ბრძოლა ამა თუ იმ მიზნისათვის, მიზნის მიღწევა, სხვადასხვა განცდანი ამ ბრძოლის გზაზე, სხვადასხვა საფეხურები გამარჯვებისა,—ყველა ეს ცალცალკე აღებული დიდი ბედნიერებაა ყოველი ადამიანისათვის, რომელიც აზროვნებს, ეძიებს და მიისწრაფის.

ყოველივე ეს ჩვენ განვიცადეთ და ჩვენი ბრძოლა დავაგვირგვინეთ მეტად დიდი შედეგით: საქართველოს ხალხს მოვუპოვეთ დამოუკიდებლობა და დემოკრატიული რესპუბლიკა.

განსაკუთრებული გამოხმაურება ასეთ დიად მოვლენას უნდა გამოეწვია ჩვენი პოეტების სულში. ჩვენი პოეზია უნდა გადაშლილიყო მეტად ფერად და წარმტაც თაიგულად.

სინამდვილეში ასე არ მოხდა.

წარმოდგენილი მაქვს, რა იქნებოდა მოხუცი აკაკის ჩანგი, თავისუფალ საქართველოს რომ მოსწრებოდა.

როდესაც მოგვესმოდა იმისი სიტყვები:
ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები
შენზედვე მგლოვიარეო!

შეუძლებელია, ერთგვარი სულიერი განცდის ჟრუანტელმა არ დაგიაროსთ ტანში. ბორკილ აყრილმა საქართველომ, ნორჩმა, კოჰწია დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომელიც გასაშტერებელი ენერგიით ებრძვის ათასგვარ დაბრკოლებას და მიისწრაფის მზისაკენ, ვერ ათქმევინეს პოეტებს ვერაფერი ამის მზგავსი.

საქართველოს ცხოვრების დიადმა მოვლენებმა თითქოს გვერდზე ჩაუარეს მათ.

მიუხედავათ ამ დიდი ნაკლისა, წარსული წლის სიტყვაკაზმული მწერლობა მაინც ნაყოფიერი იყო.

დაისტამბა ვასილ ბარნოვის დიდი რომანი ისტორიული [illegible] ტრფობა წამებული.

ბარნოვი დიდი მხატვარია და მეტად ნაყოფიერი, მაგრამ თავისებური.

და ეს თავისებურობაა მიზეზი, რომ მას ხალხი არ იცნობს იმდენად, რამდენადაც მწერალი ამისი ღირსია.

ბარნოვი მეტად შინაარსიანი, ლამაზი წიგნია, მაგრამ ძველი წიგნი.

ძველ წიგნს კი და ისიც ჩვენს დროში მეტად მცირე რიცხოვანი მკითხველი ჰყავს.

ბარნოვს იზიდავს საქართველოს სიძველე, მისი წარსული ცხოვრება; მისი შემოქმედება განსაკუთრებით მტვერიან წარსულში ეძებს მასალას და არა მზიან აწმყოში.

მას უყვარს წყნარი, ჩუმი, მოსვენებული სახე წარსულისა და არა აღელვებული, აბობოქრებული, მოუსვენარი თანამედროვეობა.

მას უფრო ეხერხება მკვდრების აღდგენა და ამეტყველება, ვიდრე თანამედროვე ცხოვრების დუღილში ძებნა შესაფერი გმირებისა.

დღეს კი ჩვენი ფიქრი და გრძნობა, მთელი ჩვენი არსება აწმყოთია შეპყრობილი. წარსული ჩვენ დროებით დავივიწყეთ; ჯერ ჩვენ მხოლოდ დღევანდელი დღე გვაღელვებს, გვაფიქრებს, გვიზიდავს, გვიმონებს. დამშვიდდება ცხოვრება, გადიწმინდება დიდი ხნით ჩვენი ცა და მაშინ ინტერესი წარსულისადმი უფრო გაიღვიძებს.

მაშინ უფრო გაიცნობს მკითხველი საზოგადოება ბარნოვს, რომელიც ღირსია ცნობისა და აღიარებისა.

შიო არაგვისპირელმა დაარღვია თავისი დიდიხნის სიჩუმე და „ცისარტყელა“-ში დაიბეჭდა ნაწილი მისი დიდი მოთხრობისა.

ჩვენს მწერლობაში შიოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, მისი ყოველი ნაწარმოები სავსეა მხატვრული სახეებით, სულიერი მოძრაობის ანალიზით და ავტორის ტანჯვით.

შიო დედაბრიშვილი მართლა რომ ტანჯული ხელოვანია, ტანჯული ნიჭი.

ბუნებას მისთვის მიუცია უხვი და ნაზი გრძნობა, სპეტაკი გული, ცხოვრების სიდუხჭირე, ადამიანის სიბეჩავე, არარაობა, ფუჭსავეტობა და უზნეობა ღრმა სევდით ავსებს იმის გულს და ამიტომ ყოველი ნაწარმოები არაგვისპირელისა ატარებს ბეჭედს ხელოვანის ტანჯვისა და მწუხარებისას, ხელოვანის წმინდა ცრემლებისას.

არაგვისპირელი არ ჰქმნის მარტო გონებით, როგორც ილია, არამედ გულითაც. ამიტომ შიოს ნაწარმოები ზოგჯერ ტენდენციურია; ის არის ხშირათ სასტიკი, მკაცრი მამხილებელი და მქადაგებელი ზნეობრივი განწმენდისა. უმთავრესი საგანი არაგვისპირელის შემოქმედებისა არის ადამიანის სული და მისი განცდანი.

შიო არაგვისპირელი იღებს ჩვეულებრივ ადამიანებს, აყენებს მათ სრულებით ჩვეულებრივ პირობებში და გვაძლევს საშუალებას ჩავიხედოთ ადამიანის სულის ყველა კუნჭულში.

არაგვისპირელმა შემოიტანა ჩვენს მწერლობაში ფსიხოლოგიური მიმართულების ძლიერი ნაკადი და მასდღეს აქეთ მისი მიზანი იყო და არის ადამიანის ზნეობრივათ ამაღლება და ცხოვრების გარდაქმნა, ახალი ცხოვრების დამყარება.

და დღეს, როდესაც ახალს ცხოვრებას ყველგან საფუძველი ეყრება—როგორც სხვაგან, ისე ჩვენში—შიოს დადუმებული კალმის ამეტყველება ფრიად სასიხარულო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

მოთხრობა ჯერ დამთავრებული არ არის, ის დამთავრდება „ცისარტყელას“ შემდეგ ნომრებში, მაგრამ დასაწყისი უკვე გვიმტკიცებს, რომ ეს მოთხრობა არაგვისპირელის ნიჭს ყველა ღირსებას ატარებს.

გასულს წელს გამოვიდა თურდოს პირელის „გაწყვეტილი ზღაპარი“.

ჭეშმარიტ ნიჭის უტყუარი თვისება გულწრფელობაა.

როდესაც მწერალი ფერუმარილით გვევლინება და ცდილობს თავი იმათ მოგვაჩვენოს, როგორც არის ნამდვილათ, ეს ჟინიკობის მომასწავებელია, ზოგჯერ უჭკუობისაც.

როდესაც მწერალი ცდილობს კვნესა საკუთარი გულისა მთელი ჯოჯოხეთის ტანჯვათ წარმოგვიდგინოს, ეს მეტად ყალბი ხელოვნებაა.

თურდოსპირელი ყველა ამ ნაკლს, რაც ხშირათ თანდასდევს ახალგაზრდა ნიჭს, სრულებით მოკლებულია.

გულწრფელობა, სისადავე, მარტივობა მისი ნიჭის თვისებაა. მისი ნოველები გრძნობით სავსე თაიგულებს წარმოადგენენ.

ავტორს აქვს თავისებური სტილი, თავისებური ხასიათი წერისა და იმის პროზაში ბევრგან საუცხოო პოეზიაა.

წარსულ წელს გამოვიდა თაგუნას პირველი წიგნი.

ჩვენს მწერლობაში თაგუნა უკვე საკმაოდ ცნობილი სახელია.

როდესაც ტერიელ და ავთანდილი

ურიდონთან წავიდენ, ფურიდონის მეჯოგეებს შეხვდენ, ტარიელი ავთანდილს ეუბნება: ფრიდონს გვილაღობენო, მისი ჯოგი მოვიტაცოთო და თან დასძენს:

ამოა კარგი ლაღობა,
ლაღსა შეეგიქმს ლაღებად.

ეს ადგილი მე იმიტომ ამოვწერე, რომ აქ არის ამავე დროს თაგუნას ნიჭის უმთავრესი თვისება:

კარგი ლაღობა.

დაცინვა შეიძლება იყოს მეტად გესლიანი, პიროტი, მიწასთან გამასწორებელი, ბრაზიანი, ღვარძლიანი.

შეიძლება იყოს მხიარული, კეთილი, ზოგჯერ საკმაოდ მწარე, მაგრამ ყოველთვის უბოროტო, უწყინარი.

იუმორისტულ მწერლობაში ორივე ამ დარგსა აქვს ადგილი და ესა თუ ის მიდრეკილება მხოლოდ თვისებაა ნიჭისა და ინდივიდუალობისა.

პირადად მე მეორეგვარ იუმორს უფრო მაღლა ვაყენებ, რადგანაც მასში არის მიუდგომლობა, მხატვრული ზომიერება, სამართლიანობა, გულწრფელობა, სიყვარული—და მაშასადამე ხელოვნებაც.

თაგუნას იუმორი სწორეთ ამგვარი თვისებისაა. მასშია მხიარული სიცილი, ხუმრობა, გულკეთილი დაცინვა, მწარე სინამდვილე—ბრაზი და ღვარძლი კი არსად არ არის.

პირველი ტომი თაგუნას ნაწარმოებისა საკმაოდ მდიდარია შინაარსით, აქ მკითხველის წინაშე გაშლილია ჩვენი ცხოვრების სარკე და შიგ დაინახავთ მრავალ სასაცილო, სამწუხარო და დამაფიქრებელ სახეებს, მდგომარეობას, შეხვედრებას და მოვლენას.

წარსული წელი განსაკუთრებით მდიდარი იყო პოეზიით. გამოვიდა მრავალი პატარ-პატარა ჟურნალი: თოლბზულისის სარტყელი, ხელოვნება, სმარაგდი, კრონოსის სარკე, მეოცნებე ნიამორები და სხვ. აქ ნახავთ უკვე ცნობილ პოეტებს და სრულებით უცნობებსაც, მაგრამ ყველას აერთებს საერთო მიმართულება—ეგრეთ წოდებული სიმბოლისტური.

სიტყვა-კაზმულ მწერლობაში ყოველგვარ მიმართულებასა აქვს თავისი ადგილი. არ შეიძლება უარყოფა ამა თუ იმ მწერლისა მხოლოდ იმიტომ, რომ ის რეალისტია, სიმბოლისტია, ფუტურისტია და სხვ. თუ პოეტის შემოქმედებაში პოეზია არ არის, ესა თუ ის მიმართულება მას ვერ იხსნის.

და თუ არის პოეზია, ამით მას უკვე აქვს კარი გახსნილი ხელოვნების სამეფოში, რადგანაც ესა თუ ის მიმართულება, სკოლა წარმავალია, ჭეშმარიტი ხელოვნება კი უკვდავია.

შოთას აქვს ზოგიერთი ისეთი აზრი, რომელიც დღეს ნამდვილი შავრაზმულია; მაგალითად:

ჰხამს მეფეთა ერთგულობა,
ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად

ან—

ვინცა მოჰკვდეს მეფეთათვის
სულნი მათნი ზეცას ჰრბიან.

მაგრამ რომელი გიჟი უარჰყოფს ამის მიხედვით ვეფხის ტყაოსანს?

პირადათ მე სიმბოლიზმს არ ვიზიარებ, მაგრამ პოეზიის სამფლობელოში მასა აქვს თავისი ადგილი.

სამწუხაროთ ყველა ჩამოთვლილი ჟურნალების ახალგაზრდა პოეტთა უმრავლესობა მეტათ უხეირო პოეტია. მათ საშინლათ უყვართ მანჭვა-გრეხა და უზრდელად სიტყვის თქმა თავის დამცირებათ მიაჩნიათ.

ნიკო ირქმევს კოლაუს, რაჟდენი—რაულს, ტერენტი—ტერენტუსს, ვალიკო კონნე სპერლლის, ჰერკულესს და სხვა.

კაცია და გუნებაა, ნათქვამია. თუკი ეპრიანება, დაირქვას კოლაუ, ტერენტუსი, ჰერკულესი, კონნე და ჯანდაბა, მაგრამ ეს ხომ მაიმუნობაა, ყალბი მარკაა და ასეთ რამეს პოეზიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

სიმბოლისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ლექსში მუსიკას, რითმსა და რიფმას.

ეს ღირსებაა.

მაგრამ ჭეშმარიტი პოეზია მარტო ამითიც არ განისაზღვრება: მასში აზრი უნდა იყოს და, თუ მაინც და მაინც აზრი არ იქნება დიდი, სისულელეს მაინც არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

ახალგაზრდა სიმბოლისტების პოეზიაში კი აქვს ამას ადგილი, როცა ისინი რითმების ძებნაში ყოველისფერს ივიწყებენ. რითმა მაშინ არის მომხიბლავი, როცა ის ბუნებრივია; ბუნებრივი კი მარტო მაშინ არის, როცა აზრს მისდევს თავისუფლად და ადვილად.

კრონოსის № 2-ში არის სონეტი ტ. წილენჯიხელისა, სადაც ვკითხულობთ:

ჩემი სონეტი ოქროს ლუპში ზეიმს აპარებს.
მარსის წიაღში შემიყვარდა მე გაქ ნება,
ლოთი ჰამლეტი გადამიშლის მარცხენა პირებს

ერთი მიბრძანეთ, მთელი უკანასკნელი სტრიქონი სისულელე არ არის? და ეს ჩაიდინა ავტორმა რითმის გულისთვის.

აი უკეთესი ნიმუშები მეოცნებე ნიამორების პირველ ნომერში არის ლექსი შალვა კარმელისა „ლამის ფრაგმენტი", სადაც სწერია:

რა მიკლავს სევდას—ყრუ სიგარეტ თუ ალკოჰოლი?
მაინც მოწყენით დადიოდა ქვეყნად გოგოლი!

აბა ამაზეა ნათქვამი, სად ერეკლე, სად თეკლეო.

რა შუაშია აქ გოგოლი? იმ შუაში, რომ ალკოჰოლის რიფმად მოეწონა ავტორს და სისულელე გამოვა თუ არა, რას დაგიდევსთ, ოღონდ ლამაზი რიფმა გამოვიდეს.

ბილეთ ხელოვნება № 2

აქ არის რაჟდენ გვეტაძის „სინანული". იწყება ასე:

გამაცნეს. ხელი მას ჰქონდა ვით ლადარი.
და შემდეგ ვერ ვნახე, ვერ შევხვდით ერთმანეთს.
მარტოა, თუ სხვასთან, არ ვიცი სად არი.
ქუჩაში მათხოვარს ვაჩუქებ ერთ მანეთს.

ამაზე მეტი უაზრობა წარმოუდგენელია.

რა შუაშია აქ მათხოვარი და მანეთიანის ჩუქება! უკანასკნელი სტრიქონი ისე არ ეგუება ლექსს, როგორც უნაგირი ძროხას, მაგრამ მათხოვარი და ერთი მანეთი პოეტს დასჭირდა ლამაზი რიფმისთვის.

თუ ამას სჩადის რაჟდენ გვეტაძე, რომელსაც უცილოდ ეტყობა პოეტის ნიჭი, რაღა უნდა მოვთხოვოთ სხვებს...

ივ. გომართელი

(დასასრული იქნება)

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

31 დეკემბერი

### გერმანული პრესის ცნობები

გერმანიის მრეწველნი მოითხოვენ, რომ სახალხო მეურნეობის სამინისტრომ გერმანიიდან საქონლის გატანის შემცირებას ხელი შეუწყოს. საშურველია, რომ გერმანულ საქონელზე, საერთაშორისო ბაზრისდა მიხედვით, რაც შეიძლება მეტი ფასები დაწესდეს.

ფრანგმა სოციალისტმა პოლ კოლინმა, რომელიც კავშირ „კლარტეს" უმთავრესი მეთაურია და რომელმაც მიზნათ დაისახა ფრანგების და გერმანელების დაახლოვება, ბერლინში მოხსენება გააკეთა საზოგადოების მიზნების შესახებ: „ფოსიშე ცაიტუნგმა" ადგილი დაუთმო მის წერილს, სადაც იგი „კლარტეს" მიზნებზე ლაპარაკობს. წინასიტყვაობაში გაზეთი ამბობს, რომ კოლინის მიზნებს უმთავრესში ვეთანხმებით, დეტალებში კი არაო.

„დოიტშე ალგემაინე ცაიტუნგი"-ს მოყავს გერმანიიდან ჰააგაში ახლად დაბრუნებულ დ-რ გეკშერთან საუბრის შინაარსი. გეკშერი შუა ევროპის მდგომარეობის შესახებ არ არის ისეთი ოპტიმისტური შეხედულების, როგორც სხვები და შიშს გამოსთქვამს, შეიძლება გერმანიას ისეთი ბედი ეწიოს, როგორც ავსტრიას, თუ იგი შესაფერ ზომებს არ მიიღებს შიმშილობის თავიდან ასაცილებლათ. თუ გერმანიაში შიმშილობა დაიწყო, სპარტაკელები კვლავ თავს წამოყოფენ და მაშინ კატასტროფა მოხდებაო.

### ფრანგული პრესის ცნობები

საფრანგეთში წყალდიდობა გრძელდება. შალინსა და ლიონს შორის წყლით მოგზაურობა შეწყვეტილია.

(დასაწყისი არ მიგვიღია). საქმეთ ვრცლად დაასურათა ფინანსიური მდგომარეობა ომამდის და ომის დროს. მან ჩამოსთვალა ომის დროს გაწეული განსაკუთრებული ხარჯი ი. დახარჯულია: 40 მილიარდი არტილერიაზე, 6 მილიარდი ჰაერში ფრენაზე, 7 მილიონი საზღვაო საქმეზე, მეორე მხრივ სოციალურ ხარჯებზე 19 მილიარდი, ვალის გასასტუმრებელი 25 მილიარდი, საზოგადო სამსახურზე 20 მილიარდი, სურსათ-სანოვაგეზე 4 მილიარდი და განთავისუფლებულ ოლქებზე 12 ნახ. მილიარდი. ამ შემოსავლის წყაროები შემდეგია: ბანკებში შეტანილმა განძეულობამ მოგვცა 31 მილიარდი, ბონებმა და ობლიგაციებმა 49 მილიარდი, გარეშე კრედიტმა 33 ნახ. მილიარდი, ბანკის ავანსმა 25 მილიარდი, სესხმა 53 მილიარდი საერთოდ 195 მილიარდი. ამას გარდა კლოტცმა აღნიშნა 200 მილიარდი, ვალი, რომელიც გერმანიას აძევს. გერმანიამ ჩვენ უნდა მოგვცეს 25 მილიარდი. ეს საქმე უნდა მოვაწყოთ. მოკავშირეთა შორის ამის შესახებ უკვე მოლაპარაკება სწარმოებს. ამის შემდეგ კლოტცმა საფრანგეთის რესურსები აღნიშნა. პირველ რიგში რკინის წარმოება, შემდეგ უღეველი ნაცარი ელზას-ლორენისა. კოლონიებს შეუძლიათ მოგვცენ ყველაფერი, რაც კი საფრანგეთს აკლიაო. ასე რომ, არაფერი არა გვაქვს სამწუხარო: ომმა მო[illegible] უმაღლეს წერტილამდის აიყვანა, საჭიროა მხოლოდ შრომა და სარგებლობაო. მისი მოხსენების შემდეგ პალატამ სესხის კენჭი უყარა და მიიღო 490 ხმით 64-ის წინააღმდეგ.

### მოხალისეთა ცნობები.

ნიკოლაევის რადიო-სადგური. გაზ. „იუგის" როსტოვის კორესპონდენტი იუწყება მოხალისეთა ჯარისა და პოლონეთს შორის მომხდარ შეთანხმების შესახებ. დასავლეთის ფრონტზე პოლონეთის ჯარები დაუყოვნებლივ მოქმედებას დაიწყებენ.

„კრიმსკი ვესტნიკი" იუწყება კიევის რაიონში პოლონეთის ჯარების წინსვლის შესახებ. მათ უკვე დაიჭირეს რამდენიმე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი.

ბერლინი. გაზ. „პრიზივის" ცნობით, იაპონიამ ადმირალ კოლჩაკს 30 მილიონი მან. მეორე სესხი გაუხსნა.

### ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი, დეკემბრის 30. სამხედრო ცნობა. დეკემბ. 30. კარელიის ყელზე მზვერავთა შეტაკება სწარმოებს. ნარვის რაიონში სასტიკი ბრძოლაა. მტერი ქიმიურ ყუმბარებს უშენს ჩვენს პოზიციებს. შვიდ ვერსზე ქ. ნარვის დასავლეთით, ჩვენმა ჯარმა გადალახა მდ. ნაროვა, მაგრამ იძულებული გახდა უკან დაეხია და ისევ გადმოსულიყო მდინარის მარჯვენა ნაპირზე. წამოვიყვანეთ 100 ტყვე. დვინის რაიონში მტრის რაზმი გადმოვიდა მდ. დასავლეთ დვინაზე, მაგრამ ჩვენ კონტრ-იერიშით უკუ ვაგდეთ. ჩერნიგოვის რაიონში ჩვენი ჯარი იბრძვის ქალაქ ჩერკასის ირგვლივ. კრემენჩუგის რაიონში ჩვენმა ჯარმა აიღო სადგური პავლიში. ეკატერინოსლავის რაიონში ჩვენი ჯარი მიადგა დნეპრს მდინარე ვორსკლის შესართავიდან, ვიდრე ქ. ეკატერინოსლავამდე. პავლოგრადისა და გრიშინის რაიონში ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. ჩვენ ავიღეთ ქ. ბახმუტი და სამხრეთისაკენ წინ წავიწიეთ. მილლეროვის მიმართულებით ჩვენ ავიღეთ სადგური გლუბოკოე. ჩვენი ცხენოსანი რაზმი შეიჭრა კრივოროჟიეში, დაამარცხა მტრის ჯარი და ხელთ იგდო 4 ზარბაზანი და სხვა სურსათი. მდ. ჩირის რაიონში ჩვენი ჯარი იბრძვის ჩერნიშევსკაიას აღმოსავლეთით. უსტ-მედვედიცკაია და მდ. ილოვლიის შორის ჩვენი ჯარი მტერს სდევნის. ჩერნოიარის რაიონში ჩვენი ჯარი წინსვლას განაგრძობს. ნოვო ნიკოლაევსკის მიმართულებით კალნუგინის რკინის გზის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა აიღო ქ. ალექსანდროვსკი. რკინის გზა სავსეა მტრის მიერ დატოვებულ სამხედრო ქონებით.

ბელოოსტროვი. დეკ. 26. რეველიდან იუწყებიან ლიტვისა და ლატვიათა შორის უთანხმოების გაძლიერებაზე. უთანხმოებას საზღვრების საკითხი იწვევს. ლატვიაში მოითხოვენ მიტავა-ლიბავის რკინის გზას მისი რაიონებითურთ. შეტაკების მოლოდინში ამაგრებენ ქალაქებსა და სანაპირო ადგილებს. პოლონეთის სამხედრო სამინისტრომ მობილიზაცია გამოაცხადა.

ნაუენი. დეკ. 29. სტრასბურგიდან იუწყებიან, რომ იქ მდგომ ფრანგების ჯარს კვლავ ემატება ახალ ახალი რაზმები. ყაზარმები სავსეა. ჯარი კერძო ბინებშიდაც არის დაბანაკებული. ამაგრებენ სტრასბურგის ფორტებსაც.

უფა. დეკ. 28. მიღებული ცნობების თანახმად ტოკიოში სათბობი მასალის დიდი კრიზისია. შემცირდა სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლა და მოსალოდნელია ქარხნების შეჩერებაც. მოსკოვი. დეკ. 30. „იზვესტია" მოგვითხრობს მემარჯვენე ესერთა დატყვევების შესახებ. დატუსაღებულია ზოგიერთა წევრი სოც. რევ. ცენტრალური კომიტეტისა: ალექსეევი, აგატოვი, რატნერი და აგრეთვე პარტიის სხვა ცნობილი მუშაკნიც. მათ აღმოუჩნდათ საწყობი საბჭოთა რუსეთის ყალბი დოკუმენტებისა, ბეჭდებისა. მემარჯვენე ესერები მუშაობდენ ფარულად, ხოლო მათი მუშაობა მიმართული იყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. დამტკიცდა მათი კავშირი სხვადასხვა ჯურის ყაჩაღ-ბანდიტთა ჯგუფებთან, რომელნიც ხელს უწყობდენ კონტრ-რევოლიუციონერებს. ისინი აგრეთვე აფუჭებდენ რკინის გზას წითელი ჯარის ზურგს უკან.

# ახალი ამბები

უადგილობის გამო ზოგიერთი საახალწლო მიმოხილვები დღევანდელ ნომერში ვერ იბეჭდება.

◆ **საახალწლო მილოცვა.** ახალციხიდან რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: ჩვენ ისტორიული ერუშეთის თქვენი ღვიძლი ძმები, აწ სამუდამოდ ჭირისა და ლხინის თქვენი მოზიარე ქართველი მუსულმანები ვულოცავთ ახალ წელს საქართველოს ღირსეულ მთავრობას და ვუსურვებთ მას დღეგრძელობას სამშობლოს და დემოკრატიის საკეთილდღეოთ. მონდობილობით: ჯელალ ბეგ ხიმშიაშვილი, იმამილ ფაგრატ ოღლი, რაგიმ ბეგ ხიმშიაშვილი, მოლა იბრაგიმი, სერჟანტ ბეგი გასახბეგოვი, რამიდ გაჯიევი, შაინწურ ოღლი, საფარ არუსინ ოღლი.

◆ **სამხედრო სამინისტროს განზრახული** აქვს ამა წლის იანვარში დაითხოვოს სამხედრო სამსახურიდან ყველა დაბადებულნი 1897 წელში, რომელთაც უკვე შესრულებული აქვთ დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წლის 31 ივლისს გამოცემულ „სამხედრო ბეგრისა და შეიარაღებულ ძალთა შევსების" კანონში აღნიშნული ნამდვილი სამსახურის ვადა. სამხედრო მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობას წინაშე დაინიშნოს სენატორის რევიზია გამოსარკვევათ იმისა, თუ რამდენათ და როგორი სისწორით არის შესრულებული რესპუბლიკის სამხედრო, სამოქალაქო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა მიერ ჯარის შევსება-შედგენის შესახებ და დეზერტირების წინააღმდეგ მთავრობის მიერ უკვე გამოცემული ყველა ბრძანება-განკარგულებანი.

◆ **„მსახიობის დღე"** წ. კ. გ. საზ-ამ 1000 მანეთი შესწირა „მსახიობის დღე"-ს ხარჯებისათვის. დღესასწაული გრანდიოზულ სახეს იღებს: ყველა დაბა-ქალაქებიდან მოდის ცნობები, რომ ყველგან გაიმართება საღამო-წარმოდგენებიო. მსახიობთა კავშირის დავალებით გუშინ საჩქაროთ გაემგზავრა მსახიობი ვ. ჯაჭავა გორში, ფოთში და სხვა პროვინციის ქალაქებში, სათანადო მასალებით „მსახიობის დღეს"-ათვის. გვარდიის შტაბმა ერთი ავტომობილი და ოთხი ცხენი დაუთმო „მსახიობთა დღე"-ს საჭიროებისათვის.

◆ **მიწათ მოქმედების სამინისტროსაგან.** მე მონდობილი მაქვს თვალ-ყური ადევნებია ბათა ყარაიაზის ნაციონალურ მამულში აკრძალულ უნებართვოთ ნადირობა. ამისათვის ვაცხადებ, რომ ყველა იმ პირთ, რომელთაც ხსენებულ რაიონში ნებართვა არ ექნებათ მიწათ მოქმედების სამინისტროსაგან, ჩემის განკარგულებით ჩამორთმევა სანადირო თოფი და იქნება პასუხის გებაში მიცემული. ჯავშნიანი მატარებლების უფროსი და რკინის გზის კომენდანტი გოგუაძე. (ვსთხოვ სხვა გაზეთებმა გადაბეჭდონ ეს განცხადება).

◆ **საქართველოს სომხეთის ომის გა**თავების წლის თავის აღსანიშნავად და ბრძოლაში დახოცილ მხედრების მოსახსენებლათ გუშინ დილის 2 საათზე სამხედრო ტაძარში გარდახდილ იქნა პანაშვიდი. პანაშვიდი გადაიხადა საქართველოს კათალიკოსმა სამღვდელოების თანამშრომლობით. დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. მდივანი, სამხედრო მინისტრი ნ. რამიშვილი, მისი ამხანაგი გენ. გედევანიშვილი, საქართველოს რესპუბლიკის გენერლები და სხვა. პანაშვიდზე იყვნენ თფილისის გარნიზონის ნაწილები. სამხედრო მინისტრმა შესაფერი სიტყვით მიმართა ჯარის კაცებს, შემდეგ შესდგა პარადი.

◆ **საგარეო საქმეთა მინისტრმა გე**გეჭკორმა სომხეთის საგარეო საქმეთა კომისარისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „სომხეთის მთავრობამ ცნობები მიიღო, რომ ორდუბატისა და ნახიჩევანის მუსულმანები ხალილ-ბეისა და ხალილ ფაშის ხელმძღვანელობით თავს დასხმიან სომხეთის სოფ. მოხტანს. ს. აკულისი ალყა შემორტყმულია და საშინლათ ნადგურდება. მცხოვრებთ ყელები დასჭრეს, შეტევა გრძელდება. სომხეთის მთავრობას არ შეუძლია გულგრილად უცქიროს ნახიჩევანისა და ორდუბატის მაჰმადიანთა მიერ სომხეთისა და აზერბეიჯანის პრემიერთა შორის 23 გიორგობისთვის დადებულ ხელშეკრულებისა დარღვევას. სომხეთის მთავრობამ მიმართა აზერბეიჯანის მთავრობას ბოლო მოუღოს ხსენებულ სისხლის ღვრას, წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალი სისხლის ღვრის და პასუხის მგებლობა აზერბეიჯანის მთავრობაზე იქნება".

◆ **აზერბეიჯანის ნოტა პოლკოვნიკ ჰასკელს.** დეკემბრის 30 საქართველოში მყოფ აზერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლის მოადგილემ ვეკილოვმა ინახულა მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი ამიერ-კავკასიაში პოლ. ჰასკელი და ჰქონდა მასთან ხანგრძლივი საუბარი მიმდინარე საკითხების შესახებ და ბოლოს გადასცა მას შემდეგი შინაარსის ნოტა: „ჩემ მიერ მიღებულია ცნობები, სომხეთის ჯარის მიერ ერევნის გუბერნიის მაჰმადიანთა რამოდენიმე სოფლის აწიოკების შესახებ. აწიოკებულ სოფლებიდან თფილისისაკენ მოდიან ასობით ლტოლვილები.

საჭიროდ მიმაჩნია გაცნობოთ, რომ ცნობამ სომხეთის მთავრობის მიერ აგრესიული ზომების მიღების შესახებ, რომელსაც სურს, იარაღით დაიმორჩილოს მაჰმადიანთა ის რაიონები, რომელთაც ნებით არ სურთ მათი მფარველობის ქვეშ შევიდნენ, მიაღწია აზერბეიჯანის ხალხის ფართე მასსამდე, უკანასკნელი აღელვებულია სომხების სიმხეცით, ითხოვს თავის მთავრობისაგან შესაფერი ზომები მიიღოს თავის ხალხის გადასარჩენად.

ჩემის მხრით თქვენს მაღალ-კეთილშობილების ყურადღებას მივაქცევ იმას, რომ სომხეთის მთავრობის უკანასკნელი გამოსვლები ისე როგორც ზანგეზურის მაჰმადიანებზე თავდასხმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სომხეთ-აზერბეიჯანს შორის 23 ნოემბერს დადებულ ხელშეკრულობის შემდეგ, მძიმე შთაბეჭდილებას ახდენენ აზერბეიჯანის ხალხზე და წინდაწინ ნდობას უკარგავენ თფილისის მომავალ კონფერენციას ასეთ სამწუხარო მოვლენების თავიდან ასაცილებლათ, რომელიც ძირშივე კლავს აზერბეიჯანის მთავრობის დაწყებულ საქმეებს, რომელიც მიმართულია ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს შორის კეთილ-მეზობლურ ურთიერთობის დამყარებისაკენ, მაქვს პატივი ვსთხოვო თქვენს მაღალ აღმატებულებას მთელი თქვენი ავტორიტეტი გამოიყენოთ და მიიღოთ თქვენგან დამოკიდებული ყოველივე ზომები, სომეხთა ჯარისაგან მუსულმანთა სოფლების განადგურებისა და მშვიდობიან მცხოვრებთა ამოწყვეტის შესაჩერებლათ".

◆ **ნეიტრალურ ზონაში** შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო ცნობა, რომ ნეიტრალურ ზონის სანაინის რაიონში სისტემატიურ მოვლენათ გადაიქცა სახელმწიფო ქონების დატაცება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნეიტრალურ ზონის კომისარს მოსთხოვა ახსნა-განმარტება და უბრძანა მიიღოს სასტიკი ზომები ბოროტ მოქმედების წინააღმდეგ.

◆ **სპეკულიაციის წინააღმდეგ** კახეთის რკინის გზის პროფესიონალურ კავშირის მეორე დელეგატების ყრილობამ დაადგინა: დაევალოს სხდომის წევრებს ყური უგდონ იმ მოსამსახურეებს, რომელნიც ხელს უწყობენ სურსათის გაზიდვაში სპეკულიანტებს, კახეთის რკინის გზაზე უნებართვოთ შეჭიშნული მოსამსახურეები გამოცხადებულნი იქნებიან, როგორც სამშობლოს მოღალატენი.

◆ **ქართული საოპერო სტუდია.** 2 იანვარს, სახალხო თეატრში (ზუბალაშვილისა) წარმოდგენილი იქნება ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე" მუსიკა დ. არაყიშვილისა ქართ. სამუსიკო საზ. და საქ ცენ. კოოპერატივთა საოპერო სტუდიის მიერ.

◆ **გამოვიდა „ეშმაკის მათრახის"** საახალწლო ნომერი შემდეგი შინაარსით: „წარჩინებული უცხოელი", საახალწლო ამბავი 29 სურათით. „გაფიცვა". საახალწლო მოთხრობა ეშმაკისა. საახალწლო მილოცვა ბუტუნასი. საახალწლო გურული სცენა, ჯიბილასი.—„მამა-შვილი", საახალწლო ჩიჩიხრობა თაგუნასი და სხვ. [illegible] სულ 31 კარიკატურაა.

### კრებები

— ხუთშაბათს 1 იანვარს შესდგება ჩვეულებრივი კრება საქ სოც. დემოკ. მუშათა პარტიის მე-7-დე რაიონულ კოლექტივისა.

# ქართლ-კახეთის ყველა მეცხვარეებს

დღევანდელი ცხოვრების პირობები უკიდურეს გაჭირვებაში აყენებს მშრომელ ხალხს. მშრომელი ხალხი მოკლებულია საჭირო სურსათ-სანოვაგეს ერთის მხრივ და, მეორე მხრივ, მისი ნაწარმოები სრულიად უნაყოფოთ და უწესრიგოთ იფლანგება. ასეთ გაჭირვების დროს და მომავალ საუკეთესო და სამართლიან ცხოვრების დასამყარებლად საჭიროა მჭიდრო კავშირის შექმნა მშრომელი ხალხისა. აი ამ მიზნით ჩვენი მშრომელი ხალხი კავშირდება სხვა და სხვა გვარ კოოპერატივებში. კარგა ხანია, რაც ჩარჩვაჭრების მიერ გაპარტახებული და დაბეჩავებული მომხმარებელნი შეკავშირდენ მომხმარებელთა ამხანაგობებში და მათ საშუალებით ცოტათ თუ ბევრად შეიმსუბუქეს გაჭირვებული მდგომარეობა და აიცილეს თავიდან ჩარჩვაჭრების კლანჭები. მაგრამ მომხმარებელი ვერ განთავისუფლდება სრულიად ჩარჩ-ვაჭრებისაგან, თუ იგი დაშორებული იქნება მწარმოებელთაგან და მწარმოებელიც მუდამ ხელფეხ შეკრული იქნება, თუ არ შეკავშირდება თავისამებრ მწარმოებელთან და ვიწრო კავშირს არ დაიჭერს სხვა კოოპერატიულ ამხანაგობებთან.

თქვენ ყველას მოგეხსენებათ თუ რა გაჭირვებას განიცდიან ჩვენი ქვეყნის ყველა მხრის მეცხვარენი. რადგანაც ყველა მეცხვარენი დაქსაქსულნი არიან ერთი მეორისაგან, მათ არა აქვთ საშუალება გააუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა. მეცხვარეთა ნაწარმოები: მატყლი, ყველი, ცხვარი და ტყავეულება ჩალის ფასათ უვარდებათ ხელში ჩარჩ შუამავლებს; მეცხვარეებს არ აქვთ საჭირო ბინები, იარაღი და სხვადასხვა: მათ არ აქვთ საჭირო [illegible] და ყველა ჩარჩი შუამავალი დაუნდობლივ ტყავს აძრობს. აი ამ საშინელ მდგომარეობიდან გამოსასვლელად საჭიროა მეცხვარეთა შეკავშირება, მეცხვარეთა ამხანაგობის დაარსებით.

მეცხვარეთა ამხანაგობის მიზანია: 1) ხელის შეწყობა თავის წევრ მეცხვარეთა ნაწარმოების მოგროვებაში, დამუშავებაში და გასაღებაში, 2) შეიძინოს თავის წევრთათვის [illegible] მარ საქონლისა და წარმოებასა და მეურნეობაში საჭირო მასალების მიწოდება, 3) ცხვრის ჯიშის გაუმჯობესება, მოვლა, მოშენება და სხვადასხვა.

ამგვარ ამხანაგობის განსახორციელებლად და მის მიზნების ფართოდ განსახილველად დანიშნულია საზოგადო კრება ქართლ-კახეთის ყველა მეცხვარეთა. საჭიროა, რომ ამ კრებაზე დაესწრონ ყველა მეცხვარენი, რომელნიც ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ საჭიროებებს და გაეცნობიან ამხანაგობის დაარსების საჭიროებას.

კრების განსახილველი საგნები: 1) მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობის წესდების განხილვა და დამტკიცება; 2) ამხანაგობის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა; 3) ამხანაგობის სამოქმედო გეგმა; 4) ამხანაგობის გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები; 5) მიმდინარე საკითხები.

საზოგადო კრება დანიშნულია 4 იანვარს ახალი სტილით (22 დეკემბერს ძველი სტილით) სოფ. ქვემო [illegible], დილის 9 საათზე. კრებას დაესწრებიან მთავრობის და საქართველოს ცენტრ. კოოპერატიული კავშირის წარმომადგენელნი.

პატივისცემით, რწმუნებულნი ქართლ-კახეთის მეცხვარეთა საზოგადოებისა ალექსანდრე თედორეს ძე წულაია, დიმიტრი დავითის ძე ნოდია.

# უცხოეთი

### რუსეთი

**ადესის მდგომარეობა.** ადესაში დღეს ისე, როგორც ბოლშევიკების დროსაც, არ მოიპოვება არც პური, არც წყალი, არც სინათლე, არც სათბობი მასალები. ტელეფონი ხშირი გაფიცვების გამო მხოლოდ დროგამოშვებით მუშაობს. გაზეთების ქრონიკაში ხშირათ შეხვდებით ასეთ სათაურებს: „დასაფლავება უკუბოთ". არ არის მასალები, რომ კუბო გააკეთონ. მობილიზაცია ყოველ დღე ხდება. უკანასკნელათ სტუდენტები იქნენ ჯარში გაწვეულნი. შემოღებულია წინასწარი სამხედრო ცენზურა.

**პროფესიონალური კავშირები „დობროვოლიაში".** პროფესიონალურ კავშირ ცენტრის ჩრდილო კავკასიის ბიურო მოხსენებით მიმართა ყუბანის მთავრობის ერთ-ერთ წევრს, სადაც ბიურო აღნიშნავს, რომ პროფესიონალურ კავშირთა დევნამ ყუბანის ოლქში ფართე ხასიათი მიიღო. პოლიციის აგენტები როგორც ეკატერინოდარში, ისე მთელ ყუბანის ოლქში თავს ესხმიან პროფესიონალურ კავშირების [illegible]ნოებს და აძლევენ [illegible] საშუალებას თავისუფლად შეიკრიბონ და გაარჩიონ სხვა და სხვა პროფესიონალურ ხასიათის საკითხები.

### ჩინეთი.

**ბოლშევიკური პროპაგანდა.** მოსკოვის გაზ. „პრავდა"-ს ცნობით მთავრობა ათი ათასობით მოწოდებებს ავრცელებს ჩინეთში ჩინეთის პროლეტარიატის მიმართ, რომელშიაც მოუწოდებენ პროლეტარიატს მოაწყოს აჯანყება კოლჩაკის ზურგში, შეუერთდეს საბჭოთა ჯარებს და მოიცილონ კისრიდან იაპონელთა მონობის უღელი. შემოდგომაზე მოსკოვში დიდი მიტინგი გაიმართა ჩინურ მოძრაობისადმი თანაგრძნობის გამოსახატავათ.

### ინდოეთი.

**პროპაგანდისათვის.** „პრავდა"-ს ცნობით მოსკოვში ინდოეთიდან ჩავიდა პროფესორი ბარაკატულა, რომელსაც სურს სათანადო დირექტივები მიიღოს საბჭოთა მთავრობისაგან, რათა აღმოფხვრილ იქნეს აღმოსავლეთში და კერძოთ ინდოეთში ევროპიული კაპიტალის ბატონობა.

### ბელგია.

**მთავრობაში მონაწილეობის შესახებ.** ბელგიის მუშათა პარტიის ყრილობაზე დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა, მიიღონ მუშებმა მონაწილეობა მთავრობაში, თუ არა. მთავრობაში მონაწილეობის მიღების სასარგებლოთ ილაპარაკეს სხვათა შორის ემილ ვანდერველდემ და დესტრემ. 1.400 ხმით 152-ის წინააღმდეგ მიღებულ იქნა წინადადება, რომლის ძალითაც მუშათა პარტიის წარმომადგენლებს ნება ეძლევათ შევიდენ მთავრობაში, მაგრამ მათ [illegible] უნდა იხელმძღვანელონ [illegible] პარტიის მიერ მიცემული [illegible]ვებით,

### გერმანია.

**დამოუკიდებელთა შორის.** [illegible] ლის გაზეთებში [illegible] პირველ ყრი[illegible] ნიდან მიღებული [illegible] ყრილობის დასკვნა, რომ დამ[illegible] ოვერებაში [illegible] პრეზიდენტებათ [illegible] მაგიერათ არჩეულ პალატა. ძნელი [illegible] მეიერი. ორიენტის პირველი ნა[illegible] ფრთის [illegible] იყო საჭირო, [illegible] 7 თვის [illegible] აღმოსავლეთ [illegible] გადაუ[illegible] ხელმწიფონი. [illegible] ვები. სიტარი[illegible] ტი და მნიშვნელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის პარიზში გამოცემულ ჟურნალ „ევროპ ორიენტალ"-იდან (აღმოსავლეთის ევროპა) შემდეგი ცნობები: ესტონია შეიცავს 47,500 კვადრატულ კილომეტრს, 1,750,000 მცხოვრებით, რომელშიაც 93 პროც., ესტია, ლატვი 64,195 კვად. კილომეტრს; ხალხი—2 552,000; 72 პროც. ლატვი, ლიტვა—125,000 კვად. კილომეტრს; ხალხი 6.000 000, ბელორუსია—300,000 კვად. კილომეტრს, ხალხი—14,075,000; 75 პროც. ბელორუსი; უკრაინა 800.000 კვადრ. კილომეტრს, ხალხი—45,000 000—72 პროც. უკრაინელი, ყუბანი—85,000 კვადრ. კილომეტრს, ხალხი—3,000,000; ჩრდილო კავკასია—150 000 კვადრ. კილომეტრს; ხალხი—4 000,000, აზერბეიჯანი—100 000 კვადრ. კილომეტრს, ხალხი—4,000 000.—75 პროც. თათარი; საქართველო—90 000 კვადრ. კილომეტრს, ხალხი 3 000 000; 75 პრ. ქართველი; სომხეთი—320 000 კვადრ. კილომეტრს, ხალხი—4,000 000, 75 პროც. სომეხი.

## დამფუძნებელი კრება

30 დეკემბერი.

### დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

იგ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები შემდეგი დეკრეტებისა:—1) მთავრობის საქმეთა მმართველობის შტატისა და 1919—1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ. 2) თფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის დასახმარებლათ 150,000 მან. გადადების შესახებ; 3)—სასამართლოებში შინაური საბუთებით მოპოვებულ უძრავ ქონების შესახებ სამოქალაქო საქმეთა წარმოების შეჩერებისა, 4)—დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკისათვის წიგნების შესაძენად 100,000 მან. გადადებისა, 5) დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებაში 200,000 მან. გადადების დეკრეტისა მოულოდნელ და წინასწარ გაუთვალისწინებელ საჭიროების დასაკმაყოფილებლათ.

გ. კალაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—რკინის გზის სამხედრო [illegible] განგრძობისა.

ს. ღლონტის და დ. თოფურიძეს მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—[illegible]-ზუგდიდის რკინის გზის დასამთავრებლად 7,315,000 მან. გადადების შესახებ.

თ. ღლონტის და გრ. ფურცაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—[illegible] შესანახად 16,138,430 [illegible] შესახებ.

ნ. მდივნის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს 1919—1920 წ. დამატებით ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში 1,8784065 მან. გადების შესახებ.

ლ. ნათაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობის ძვირფასი ნივთების შესაძენათ სამუზეუმო თანხის დაარსებისა.

კ. ნინიძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—1914 წლის დეკემბრის 16—ს დროებით კანონის (შესახებ გადასახადის გადიდებისა) მოქმედების 1920 წ. დეკემბრის 31-დე განგრძობის შესახებ.

მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—სასამართლოს ზოგიერთ ხარჯის გადიდებისა.

დ. ონიაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ განსაკუთრებულ მოქმედების განგრძობისა—სპეკულიაციისა, კონტრ-რევოლიუციისა და მმართველობის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

ამ დეკრეტის წინააღმდეგ გაილაშქრა ლ. შენგელაიამ და მოითხოვა საგანგებო რაზმის გაუქმება, რადგანაც ასეთი რაზმის არსებობა ეწინააღმდეგება დემოკრატიზმის პრინციპებსო.

ნ. რამიშვილი. (შინ. საქ. მინ.) ამბობს, რომ დღეს ჩვენში არაჩვეულებრივი პირობებია. დემოკრატიული [illegible]ილმწიფო არაა უზრუნველყოფილი [illegible]საგან და ასეთ პირობებში საგანგებო რაზმის არსებობას მოითხოვს [illegible]ირით დემოკრატიული პრინციპები [illegible] ხალხის ინტერესებით. ასეთ არაჩვეულებრივ მდგომარეობის დროს, [illegible] მინისტრი,—რევოლიუციონ[illegible] დემოკრატია ყოველთვის მიმარ[illegible] [illegible] ზომებს, საგან[illegible] (მოჰყავს მაგალითები [illegible]დან), რა[illegible] მტრებისაგან. [illegible] რომ [illegible] ისეთი [illegible] შეუძლებელი [illegible] წყობი[illegible]ლების მოწ[illegible]ადებლობა უზ[illegible] ყოველგვარი [illegible]) ააშკარავებს

ცენტ[illegible] მთელი [illegible] რომ ს[illegible] იყოს [illegible] არ ქმნიდეს სოფ[illegible] ობას, სადაც ერ[illegible] ათი კაცს უპირავს [illegible] ბეზში მიწის განაწი[illegible] და სხვათა საქმეთ[illegible] იყო, რომ კანონმდებ[illegible] ნაწილება სოფლელ[illegible] უკანასკნელთა მიერ [illegible]ებს, რათა ეს როთუ[illegible] ბო საქმე თითონ [illegible] ბებისა და სადგომ[illegible]

სოციალისტ-რევოლიუციონერების ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, აკრიტიკებს ლ. შენგელაიას დებულებებს და ამბობს: ბ-ნი შენგელაია თავის სიტყვაში დასტრიალებდა ერთ დებულებას: ჩვენ სოციალისტები ვართ და ჩვენთვის მიუღებელია საგანგებო რაზმების არსებობაო. ჩვენ თქვენზე უკეთესი სოციალისტები ვართ, ბ. შენგელაია, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ სწორეთ ობიექტიური პირობები და ხალხის, დემოკრატიის ინტერესები გვაიძულებს ჩვენ ვიყოლიოთ საგანგებო რაზმი. და ამ რაზმმა უნდა იარსებოს მანამ, სანამ ჩვენი დამოუკიდებლობა, რევოლიუციით მონაპოვარები სავსებით არ იქნება უზრუნველყოფილი გარეშე თუ შინაური მტრებისაგან.

დეკრეტის წინააღმდეგ ხმა მისცეს სოც.-რევოლიუციონერებმა.

### საღამოს სხდომა.

საღამოს სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიამ გააკეთა განცხადება იუსტიციის და სამხედრო სამინისტროების დაარსების შესახებ და აგრეთვე მოიყვანა მოტივები როგორც მომარაგების, ისე ამ ახალი სამინისტროების დაარსებისა. სამხედრო მინისტრათ მოწვეულია, ამბობს ნ. ჟორდანია,—გრ. ლორთქიფანიძე, იუსტიციის—რ. არსენიძე. ამ განცხადების გამო ილაპარაკეს ა. ასათიანმა, გრ. გიორგაძემ და ლ. შენგელაიამ. დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

## ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრებიდან

19 დეკემბრის „სახალხო საქმის" № 708-ში, ფ. ტ. ცხოვრებიდან წერილია მოთავსებული, რომელშიაც „დამსწრე" სხვათა შორის იხსენიებს ფ. ტ. მოსამსახურეების კრებაზე მომხდარ „პარტიულ კინკლაობის" და საკითხების „პარტიულ ელფერის მიცემაზე".

ბ-ნი „დამსწრე" არ ამბობს, თუ რამ გამოიწვია, მისი ენით რომ ვსთქვათ, პარტიული კინკლაობის გამწვავება და ელფერობა. „დამსწრე" მოხერხებული კაცი ყოფილა, მაგრამ მისი ხერხი სინამდვილეს გვერდს ვერავინ აუვლის. ეს იქნებოდა საზოგადოების თვალის ახვევა და თავის თავის მოტყუილება. რაშია საქმე?

ბ. „დამსწრე" ვერ იტყვის, რომ მოსამსახურეების მძიმე ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, როგორც მთავრობის დაწესებულებებიდან დამსწრენი კრებაზე, ისე ყველა ამხანაგები ერთი აზრისა იყვნენ. უთანხმოება იწვევდა მხოლოდ ის, თუ რა გზით შეიძლება ამ მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება. ერთი ჯგუფი მოსამსახურეებისა რომელიც ბერძენიშვილ-ტუღუშის გარშემო იყრიდა თავს, ხსნას ხედავდა ბონების ბეჭდვაში და მით ჯამაგირების გადიდებაში. მეორე ჯგუფი იზიარებდა ლიადოვის და სატარიფო პალატის მუშათა სექციის თავმჯდომარის აბდუშელიშვილის ანუ მთავრობის დღევანდელ პოლიტიკას. აი, ამ ორ შეხედულების გარშემო იყო დავა.

თქმა არ უნდა, რომ დასახელებული უკანასკნელი ზომა, პრიმიტიულათ მოაზროვნე მშიერი მასსის წინაშე, პირველი შეხედვით თითქო კონსერვატიულია, ვიდრე რევოლიუციონური მოთხოვნილება მეორე ჯგუფისა, რომელიც გამოიხატებოდა ბონების ბეჭდვაში და ჯამაგირების უსაზღვროთ გადიდებაში.

ამიტომაც იყო, როცა სატარიფო პალატის მუშათა სექციის თავმჯდომარე აბდუშელიშვილი და შრომის სამინისტროს სტატისტიკურ განყოფილების გამგე მანდელშტამ-ლიადოვი დასაბუთებულათ არკვევდენ კითხვებს—მასსა ყვიროდა: „სასურსათო დახმარება გვიანაა, ჩვენ ვერ მოვიცდით, კმარა ლაპარაკი, არ გვინდა და სხვაო".

მასსის ასეთი შეხედულება, რასაკვირველია, შედეგი იყო „მოწინავე ამხანაგების" ერთიერთ წინააღმდეგ შეხედულებებისა, მაგრამ ეს წინააღმდეგობა, ყოველ საზღვარს გადააჭარბა, როცა ქუთაისის მოსამსახურეების, ულტიმატიური მოთხოვნილება „დამსწრეებმა" წაიკითხეს კრებაზე. „დამსწრეების" დემაგოგიამ, რომ ჩვენ, მოსამსახურეებს მდგომარეობის გაუმჯობესობა არ გვინდა, ჯამაგირების მომატების წინააღმდეგები ვართ, თქმა არ უნდა, გავლენა იქონია შეუგნებელ მასსაზე და ქუთაისის ულტიმატიური მოთხოვნილებებს ფრთა შეასხა.

როგორც მოეხსენება „დამსწრეს" ჯგუფს ქუთაისის მოსამსახურეები თავიანთ მოთხოვნილებებს ულტიმატუმის სახით უყენებდენ მთავრობას და ათი დღის შემდეგ იტოვებდენ მუშაობის თავისუფალი მოქმედებისას. აი, ასეთ მოთხოვნილებებს მაგარი ხმით უჭერდენ მხარს „დამსწრის" ჯგუფები და ვერც ერთ ამხანაგმა ვერც სტყვარათ მოაყოლა კრებაზე და ვერც შინაურებმა, ვერ შესძლეს აღელვებული მოსამსახურეებში სიტყვის თქმა და მათი დაშოშმინება. ამიტომაც იყო კრების გათავებამდე დარჩენა უშედეგო გახდა ლიადოვისა და აბდუშელისათვის და ისინი წავიდენ. აქედან მკითხველი აშკარათ ხედავს „დამსწრეების" ჯგუფის პოლიტიკას კრებაზე: „დამსწრეებმა" მოსამსახურეების მშიერ კუჭზე შეხებით, ქუთაისის ულტიმატიური მოთხოვნილებების იმედებით და დემაგოგიით აიყოლიეს ხალხი და ბოლოს, „გამარჯვებულებმა", გააზურეს რეზოლიუციების წერა. რაღაც ხუთი წუთის განმავლობაში თავმჯდომარეს მიაყარეს 6 რეზოლიუცია, თითქმის ყველა ქუთაისის მოთხოვნილებების ხასიათისა. (კარგი რომ შეაჩერეს, თორემ კიდევ იწერებოდა). ეს რეზოლიუციები უზრუნველყოფილი იქნებოდა, რომ დაბოლოს, საგუბერნიო შრომის კომისარს, ამხანაგ ელბაქიძის სიტყვა არ ეთქო და არ განემარტა კრებისათვის რეზოლიუციების შეუსაბამობა. თავმჯდომარემ მოხერხებულათ ისარგებლა და შრომის კომისართან მოლაპარაკებით რეზოლიუცია შეასუფთავა, გასწმინდა ულტიმატიური ხიფათისაგან და ისე გაშალაშინებულა კრებას მიაწოდა ხმის მისაცემათ. რა კარგი ხერხია! ჯერ რევოლიუციონური და ულტიმატიური ფრაზებით მშიერი ხალხის შემოკრება, შემდეგ, „ულტიმატუმის" მოხსნა და მთავრობისათვის თხოვნის სახით მოთხოვნილების წარდგენა! აი ასეთი ეშმაკობით მიაღწიეს „დამსწრეებმა" აბსოლიუტურ ხმის უმრავლესობას. აი, ამ „გამარჯვებაზე" გაჰკივიან „სახალხოში".

მაგრამ, მათდა საუბედუროთ, ასეთი „გამარჯვება" ერთობ ხანმოკლე გამოდგა: კრების მეორე დღესვე ამხანაგებმა გაიგეს „დამსწრეების" პოლიტიკა და მათ ზურგი შეაქციეს...

ალფრედ.

## ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 18 დეკემბერს შესდგა მეექვსე რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა ამხ. ვ. ინწკირველის თავმჯდომარეობით. პირველ ყოვლისა მოისმინეს წინა სხდომის ოქმი, რაც კოლექტივმა დაამტკიცა. შემდეგ კოლექტივი ისმენს მეოთხე სამილიციო უბნის მცირე კოლექტივიდან დ. ქელიძის მოხსენებას, რომელმაც საკმაოთ განმარტა მცირე კოლექტივის დადგენილება. კოლექტივი ღებულობს მოხსენებას მხედველობაში და გადადის მორიგ კითხვაზე. ფინანსიურ კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ვ. ალიხანოვი. ის აღნიშნავს პარტიულ პრესის ჩვენ რაიონში გავრცელების საქმეს. ჯერ-ჯერობით კომისიამ ამ თვეში შეიძინა 134 ხელის მომწერი გაზ. „ერთობის", 30 „ბრძოლის" და რამოდენიმეც „ბანვორ ძაის". არის დაჭირავებული გაზეთის დამტარებელი და საერთოდ ყოველივე ზომებს ღებულობს კომისია ეს საქმე დააყენოს სათანადო სიმაღლეზე. კომისიის აზრით ამ საქმიდან კოლექტივის მიმდინარე თვეში დარჩება წმინდა შემოსავალი 1000 მანეთი. კოლექტივი ღებულობს მოხსენებას.

კულტურულ განმანათლებელ კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხანაგი მ. ნაკაიძე, ის აღნიშნავს კომისიის მიერ წინ დასახულ მიზანს და მათ საქმიანობას. კომისიამ აუცილებელ საჭიროდ მიიჩნია:

1) სახალხო უნივერსიტეტის განყოფილებებს, რომლებიც მოქმედებს ადგილობრივ მუშათა კლუბში, კოლექტივმა თავისი მოქმედი ორგანიზაციებით ენერგიული დახმარება უნდა გაუწიოს მსმენელების რიცხვის გადიდებაში. დაევალოს მცირე კოლექტივებს, ქალთა ორგანიზაციას, პროფესიონალურ ადგილობრივ კავშირებს, რომ განუმარტონ მუშებს სახალხო უნივერსიტეტის მნიშვნელობა და ურჩიონ ლექციების სისტემატიურათ მოსმენა. 2) სამკითხველო და წიგნთ-საცავის მოწყობა რაიონულ სახალხო გვარდიის შტაბთან. ამ საქმის მოსაგვარებლად, კომისიამ კოლექტივის თანხით გამოიწერა პარტიული გაზეთები, იქონია მოლაპარაკება შტაბთან და კლუბის გამგეობასთან. პირველმა დაუთმო შესაფერი ბინა, მეორემ გადასცა რამოდენიმე ათასეული წიგნები წიგნთსაცავის მოსაწყობათ. კომისიას საჭიროთ მიაჩნია გადატანილ იქნას აღნიშნულ წიგნთ საცავში მცირე-კოლექტივის წიგნები, რომლებიც ამჟამათ უსარგებლოთ ინახება ბიუროში. რაც შეეხება წიგნთ საცავის წესდებას, ის მუშავდება და ცალკე იქნება წარმოდგენილი კოლექტივის განსახილველად. 3) კომისიას მიზნათ აქვს დასახული ამ მოკლე ხანში მოაწყოს დიდებისათვის წერა-კითხვის სკოლა ადგილობრივ მუშათა კლუბთან და შტაბთან, სადაც ბევრი ისეთი მუშები მოიპოვებიან რომლებსაც დიდი სურვილი აქვთ წერა-კითხვის სწავლისა. ამ საქმის მოსაგვარებლათ კომისიამ იქონია მოლაპარაკება სახალხო უნივერსიტეტთან. 4) კულტურულ განმანათლებელ კომისიას პარტიულ მუშაობის გასაძლიერებლათ აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია პარტიული წრეების მოწყობა მუშებში, როგორიც არიან აბანოებში მომუშავე მუშები, ადელხანოვის ქარხნებში მომუშავე მუშებში, მებაღეებში და სხვა. ჯერ-ჯერობით კომისიას აზრათ აქვს მოაწყოს წრე აბანოებში მომუშავე მუშებში. ამ მიზნით კომისიას საჭიროთ მიაჩნია კოლექტივმა სთხოვოს თფილისის კომიტეტს, გამოგზავნოს ხელმძღვანელი წრისათვის, კოლექტივი [illegible] მოხსენების შესახებ კამათის და შემდეგ ადგენს: კულტურულ განმანათლებელ კომისიის მოხსენება მიიღოს და დაევალოს კომისიას მეტი ენერგიით იმუშაოს ამ კითხვების სისრულეში მოსაყვანათ. კომისიაში აირჩიეს აგრეთვე ვ. ინწკირველი. შემდეგ მოსმენილ იქნა რამოდენიმე განცხადებები და განხილულ იქნა პარტიაში შემოსულის მსურველთა სია.

მდივანი. მ. ნაკაიძე.

## მუშათა შორის

### კახეთის რკინის გზა

21 დეკემბერს კახეთის ნავთლუღში გაიხსნა კახეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა დელეგატების მეორე ყრილობა. ყრილობის მუშაობა, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა, მეტად ცოცხალი და ნაყოფიერი იყო. ჩვეულებრივ მაღალ ფარდოვან სიტყვებს ადგილი არ ჰქონია, ეტყობოდა, რომ ყველას ჯეროვანად ჰქონდა შეგნებული დღევანდელი მომენტის სირთულე და ყველა კითხვების გადაჭრის დროს ანგარიშს უწევდნენ პირველყოვლისა ცხოვრების სინამდვილეს.

მრავალ საჭირ-ბოროტო კითხვათა გარდა ყრილობამ გადაჭრა სამი დიდი კითხვა: 1) ადმინისტრაციის კავშირიდან გამორიცხვა; 2) სექციების გაუქმება და 3) სასურსათო კომიტეტის დაარსება.

პირველი კითხვა დადებითად გადაიჭრა, თუმცა იყვნენ მომხრენი ადმინისტრაციის კავშირში დატოვებისა.

სექციების გაუქმების კითხვამ გამოიწვია მცირე კამათი. დღემდე არსებობდა ხუთი სექცია. მათი მუშაობა, როგორც მოხსენებებიდან გამოირკვა, ნაყოფიერი ვერ ყოფილა. ამიტომ მთავარ გამგეობამ წარუდგინა ყრილობას გეგმა, რომლის თანახმათაც სექციები უნდა გაუქმდეს და მათ ნაცვლად დაარსდეს ორი რაიონული ორგანიზაცია—ერთი ნავთლუღში და ერთი გურჯაანში, რომლებშიაც უნდა აირჩნენ წარმომადგენელნი ყველა დარგებიდან. ამით მუშაობა უფრო გამარტივდება, განაყოფიერდება და ხარჯებიც ნაკლები იქნება. ყრილობამ მიიღო ეს გეგმა.

სასურსათო კითხვის შესახებ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დღემდის ამ საქმეს აწესრიგებდა კოპერატივი კავშ. მთავარი გამგეობის დახმარებით. მაგრამ რადგანაც კოოპერატივის გამგეობამ ეს კითხვა ჯეროვნად ვერ მოაწესრიგა, ამიტომ მუშების ერთმა ჯგუფმა აღძრა კითხვა, რომ სასურსათო საქმე მთლიანად აიღოს ხელში პროფესიონალურმა კავშირმა. რადგანაც სურსათ-სანოვაგისა და ფართლეულობის შეძენის საქმე თანდათან რთულდება, ამიტომ უფრო მიზან-შეწონილი და საქმისთვის სასარგებლო იქნება, რომ კოოპერატივის სახე შეიცვალოს და მის გამგეობის ნაცვლად დროებით დაარსდეს სასურსათო კომიტეტი, რომელსაც უნდა ჩაბარდეს კოოპერატივის უძრავ-მოძრავი ქონება. ეს კითხვა პირველად გაირჩა 23 ნოემბერს, კოოპერატივის წევრთა საზოგადო კრებაზე, რომელმაც სასურველად და საჭიროდ აღიარა სასურსათო საქმის პროფესიონალური კავშირის გადაცემა.

ყრილობამ მოიწონა ეს აზრი და აირჩია სასურსათო კომიტეტი სამი კაცისაგან.

ერთი ფრიად საყურადღებო კითხვა გამოირკვა ყრილობაზე. კახეთის რკინის გზის სადგურებიდან სპეკულიანტები აწარმოებენ თურმე ხორბლეულობის ქურდულად გატანას ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებიდან. ამ ქვეყნის მოღალატეთ თურმე ხელს უწყობენ რკინის გზის ზოგიერთი მუშები და მოსამსახურენი. ამის შესახებ მომარაგების სამინისტროსაც ჰქონებია ცნობები და მან ყრილობისთვის მიუმართავს დახმარების აღმოსაჩენად ამ ბოროტებასთან ბრძოლაში. ამ ამბავმა ფრიად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ყრილობაზე და დეპეშით აღუთქვა სამინისტროს სასტიკი თვალყურის დევნება და ყოველგვარი დახმარება ამ საქმეში.

შემდეგ მოხდა არჩევნები. კავშირის მთავარ გამგეობაში არჩეულ იქნენ: სვ. ჯულელი, ვ. ბოხაბაძე, ფ. ნინუა, გ. ბალარჯიშვილი, ვ. დემეტრაშვილი, ს. ჯინჭველაშვილი, ს. ქორიძე. კანდიდატებად: ნ. დოლიძე, ა. ტაბატაძე, და ვ. ქვემოკლიძე. სასურსათო კომიტეტში: სვ. ჯულელი, მ. ქვემოკლიძე და გადაჭკორია. დისციპლ. სასამართლოში: ი. კალანდაძე და ნ. დოლიძე. არჩეულ იქნენ აგრეთვე სარევიზიო კომისიები მთ. გამგეობისთვის და სას. კომიტეტისთვის ცალ-ცალკე.

ვ. ბ—ძე

## პროვინცია

ხ. მეჯვრისხევი. მიწების ჩამომრთმევი პირველი კომისია ძალიან დაგვიანებით გამოგზავნა ჩვენს სოფელში, ვერ ასრულებდა სინდისიერათ თავის მოვალეობას. კომისიის დასტურით თავადაზნაურნი ყიდდენ მიწებს შეძლებულ გლეხებზე, რასაც კომისია [illegible] მათ საკუთრებათ. ამის შემყურე უმიწაწყლო გლეხებს გული უცრუვდებოდათ და აგრარულ რეფორმის გატარება აღარ სწამდათ. გლეხებმა კომისიის უკანონო მოქმედება აცნეს დამფ. კრების წევრს ვანო ტატიშვილს, რომელმაც უკანონობაზე კომისიის ყურადღება მიაქცია და მისი წყალობით მოვიშორეთ პირველი ჩამომრთმევი კომისია. მოვიდა შემდეგ მეორე კომისია ჩამომრთმევი, მაგრამ არც იმისი მუშაობითა ვართ კმაყოფილი. იმ დროს, როდესაც აქ საკმაოთ მოიძებნებიან უმიწაწყლო გლეხები, სრულიად მიუღებელია მიწა მიეცეს ისეთ პირს, რომელსაც განსაზღვრული ნორმა აქვს.

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს და ჩამორთმეული მიწები უმიწაწყლო გლეხებს გადასცენ, რომელთა რიცხვიც საკმაოა მეჯვრისხევში.

გლეხი.

## ღია წერილი

სამუსლიმანო საქართველოს ქობულეთის რაიონის თავმჯდომარეს ბ. ბეჟან გოგიბერიძეს.

თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ 3 ოქტომბერს მე სადგურში ვაგონი გამიტეხეს და საქონელი წაიღეს. თქვენ ისიც კარგათ იცით, რომ ამის შესახებ მე ეჭვი მაქვს ფარნა ბებიაზე და მის ცოლზე; თქვენ კი მათ მხარს უჭერთ, თუმცა ხალხში კი სულ სხვას ლაპარაკობთ. რამოდენიმე ჯერ გთხოვეთ არ გარეულიყავით ამ საქმეში, შემდეგ ბ. ისკანდერ ეფენდი [illegible] პირითაც გადმოგეცით, მაგრამ არაფერი ეშველა. ბებია ეხლა გადაყენებულია სამსახურიდან; ამ დღეებში თქვენ მისულხართ მის მუშებთან და ლაპარაკი გქონიათ ბებიას სამსახურში დატოვების შესახებ. თქვენ ისიც მოგეხსენებათ, თუ რა უარყოფილათ უყურებს ბებია და მისი ცოლი საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს ერთობას. თქვენ კი როგორც სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ერთ ერთ მოღვაწეთაგანი, უნდა ემსახურებოდეთ ამ ერთობის საქმეს. როგორ შევუთანხმოთ ერთმანეთს თქვენ მიერ დაცვა ამ ერთობის მოწინააღმდეგისა და ამავე დროს ამ ერთობის განმტკიცებისა?

პატივისცემით ი. ცინცაბაძე.

## განცხადებანი

ვეძებ ადგილს
საქმის მწარმოებლის, რეგისტრატორის, მანქანაზე გადამწერის ან სხვ, რაიმე სახელმწიფო, საზოგადო ან კერძო დაწესებულებაში. მისამართი: სასტუმრო „საქართველო", 19 თებერვლის ქუჩა (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ, ვორონცოვის ძეგლის ახლო). ხ. ებრალიძე. (3467 1—1)

ქ. ხონში იყიდება [illegible]
სახლი
ახალ შენებული და კრამიტით დახურული. მსურველთ შეუძლიათ პირობების გაგება იქვე, გ. ქავჭანიძის სამღებრო ქარხანაში. (3449—6—1)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნახ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრის ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დღისით 1—3 ს. ათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლავების, ჰაზების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ფიზიოთერაპევტიური კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—8 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (თ. 3372)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
ბ. ბ. მეგრაბიანი;
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 3230—თ.

ექიმი დ. ბ. ჯავახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებებიან ავადმყოფთ დილით 8—9 ს-მდის და საღამოთი 4—6 ს-მდის. მიხეილის პროსპ. № 64 (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—80. (თ.—2662.)

ქალ. სამტრედიაში
ექიმი ა. ი. ბერიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606" და „914") ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

ექიმი დ. ა. ხარაშლიძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 27, [illegible] ახლო.

ვაგზლის კერძო სამკურნალო
(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)
ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.
ექ. გართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველ დღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი თოხვლიანი ქალთა სნეულ საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ.—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან ოპერაცია შეთანხმებით. „606" და „914"
(2930—თ.)

ვისაც სურს იყიდოს ან გაყიდოს
სახლი
მამული, აგარაკი, სავაჭრო დაწესებულება, ქარხანა, ზავოდი, მიმართოს
ინტელიგენტთა ჯგუფს.
ჰყავთ მრავალი მყიდველები და ბევრი ასარჩევი სახლები, საუკეთესო რაიონებში ქ. თფილისში და პროვინციებში.
დავითის ქ. № 3, ბინა 2 ტელეფონი 2—28.
დილის 11—2 და საღამოს 5—7. (3458 1—1)

მიიღება ხელის მოწერა 1920 წლისთვის
დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული"
(წელიწადი მეთექვსმეტე)
ჟურნალი სუბსიდია ეძლევა განათლების სამინისტროსაგან. გამოდის გაფართოვებული პროგრამით საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით
მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის
ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯერ
" " მოზრდილთათვის " ერთჯერ
წლიურად ორივე გამოცემის ფასი 150 მან.
ცალ-ცალკე . . . 85 "
ნახევარი წლით . . . 90 "
მისამართი: თფილისი, „ნაკადულის" რედაქცია, რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) პროსპექტი და დავითის ქუჩის კუთხე, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ტელეფონი № 7—56.
(6. 8—1)

[illegible]